# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 15 ოქტომბერი 2007 №238 (3161) ფასი 50 თეთრი


# ! სოკი სეოკს: თქვენი პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილია !



იყო ასეთი პრეცედენტი ქართულ სპორტში: გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში მაშინდელი სახელისუფლებო სტრუქტურა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს დაეჭიდა და შინაურ ხალიჩაზე თითქოს დაამარცხა კიდეც, მაგრამ მეორე დღესვე ყოვლისშემძლე ფიფადან ისეთი წერილი მოვიდა, დეპარტამენტს თავისი მაინც რომ გაეტანა, ქართულ ფეხბურთს წლების მანძილზე პერსპექტივა აღარ ექნებოდა.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა და ქართულ სპორტში მორიგი დაპირისპირება დაიწყო. ამჯერად, მთლად ოლიმპიურ დონეზე. ფიფაზე ალბათ უფრო მძლავრი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი) სრული სერიოზულობით მიგვანიშნებს, რომ თუ არ შეჩერდება სახელისუფლებო სტრუქტურებისგან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციებში ჩარევა, არათუ სეოკ-ი, მთელი ქართული სპორტი თამაშგარეში დარჩება. არადა, პეკინის ოლიმპიადამდე წელიწადზე ნაკლები დროღა დარჩა...



სოკის პრეზიდენტი ჟაკ როგი ქართულმა ამბებმა შეაშფოთა

AFP

# საქართველომ გენუაში მეკარე დაკარგა

## იტალია გვქომაგობს: მოუგეთ შოტლანდიას!



# შეწყვეტილი ყივილი




ბრაიან ჰაბანამ არგენტინა გუშინ ორჯერ დაალელოვა და ტურნირის მელელოვე გახდა

AFP

## მსოფლიო კლასიკა ფრანგულად: ინგლისი — სამხრეთ აფრიკა

ნახევარფინალის წინ ლეგენდარულმა ახალზელანდიელმა მორაგბემ ჯონა ლომუმ რომ თქვა, ძალიან მინდა, ფინალში თასის გახსნითი მატჩი განმეორდეს და ერთმანეთს საფრანგეთი და არგენტინა შეხვდნენო, გეცოდინებათ. ლომუს სურვილი სანახევროდ აუხდა, საფრანგეთი — არგენტინა ამ თასზე კიდევ იქნება, ოღონდ ფინალის ნაცვლად მესამე ადგილისთვის მატჩში.

ფინალში კი ნახევარსფეროთა ჯახია: კლასიკურ ფინალში ჩრდილოელი ინგლისი ჩემპიონის ტიტულს სამხრეთ აფრიკასთან დაიცავს, რომელმაც გუშინ სამხრეთული დერბი ულაპარაკოდ მოუგო გაყოჩებულ არგენტინას, ჯონი უილკინსონის ჯადო რაგბობით აზრზე მოსულმა ინგლისმა კი ოცნება დაუსამარა თასის მასპინძელ საფრანგეთს, რომლის მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი „მამლებს" გამოემშვიდობება და დღე-დღეზე ოფიციალურად გახდება საფრანგეთის სპორტის მინისტრი.

საქართველოს ნაკრების თამაშებს წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი



AFP

# ბოლოს ანგარიშში გაირკვა

## და რა შუაშია აქ გორის დილა?

გენუა. 13 ოქტომბერი. 22.30 საათი. ლუიჯი ფერარისი. 23 057 მაყურებელი

### იტალია 2:0 საქართველო

1:0 პირლო (44), 2:0 გროსო (84)

| იტალია | საქართველო |
|---|---|
| იტალია: ბუფონი, ოდო, პანუჩი, ბარძალი, გროსო, გატუზო, პირლო, ამბროზინი (მაური 88), კვალიარელა (ფოჯა 72), დი ნატალე, ტონი<br>*სათადარიგონი:* ამელია; ბონერა, კიელინი, დე როსი, ლუკარელი<br>მწვრთნელი: რობერტო დონადონი | საქართველო: ლომაია, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, შაშიაშვილი (სირაძე 60), მენთეშაშვილი, კანკავა, ცქიტიშვილი, კვირკველია, დემეტრაძე (ჯაკობია 85), მჭედლიძე (ყენია 60)<br>*სათადარიგონი:* მაკარიძე; კანდელაკი, ა. კვახაძე, ტატანაშვილი<br>მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი |

გაფრთხილება: დემეტრაძე (41), ოდო (68), კვირკველია (79)

მსაჯები: კარლოს მეხია დავილა, ხუან კარლოს ხიმენესი, პედრო მედინა ერნანდესი, ანტონიო პერესი (ყველა ესპანეთი)

უეფას დელეგატი: გეორგიოს ბიკასი (საბერძნეთი)

პაპუნა კედია

**ასე იყო** თუ ისე, საქართველოს ნაკრები პირველ ტაიმს გოლის გაუშვებლად ამთავრებდა, როდესაც ლევან ცქიტიშვილმა მასიმო ამბროზინი წააქცია და მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. ბურთი ქართველთა საჯარიმოს წინ, შუას რომ იტყვიან, ისეთ ადგილზე დაიდო. დაჯარიმებულებმა კედელი აღმართეს, ხოლო ამბროზინის მილანელი თანაგუნდელი ანდრეა პირლო დასარტყმელად მოემზადა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ დარტყმის მოლოდინი ფრიად უსიამოვნო რამ გახლდათ, რადგან, იტალიელები სტანდარტულ სიტუაციებში უბადლონი არიან და, ბუნებრივია, ასეთ ხალხს, რაც ნაკლებ კუთხურს ჩააწოდებინებ და ნაკლებ ჯარიმას დაარტყმევინებ, მით მეტი შანსი გაქვს, გოლი არ გაუშვა.

ის, რომ იტალიელები სტანდარტულებში გაწაფულები გახლავან, რამდენჯერმე უშუალოდ ამ შეხვედრაშიც, გამოჩნდა, ასე რომ, რატომ დაეუფლა ქართველ გულშემატკივარს უსიამოვნო გრძნობა, როდესაც ანდრეა პირლო ბურთთან მივიდა, ძნელი მისახვედრი არ არის.

შემდეგ, გამოხდა ორიოდ წამი და გაირკვა, რომ ქართველი გულშემატკივარი მართალი იყო, თუმცა, რაც მოხდა, ალბათ, მაინც სხვანაირად წარმოედგინა. პირლოს, შეიძლებოდა, ბურთი ცხრიანში ჩაეხვია ან საუცხოო ფორმაში მყოფი ლუკა ტონის თავზე დაესვა; შეიძლებოდა, სხვა, მეტ-ნაკლებად ლოგიკური გაგრძელების წარმოდგენაც, მაგრამ იმას, რომ მილანელი ბურთს პირდაპირ დაარტყამდა, საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია კი, გეგონება, პენალტი ყოფილიყო, კუთხეს წინასწარ ამოირჩევდა და იქით გადახტებოდა, აბა, ვინ იფიქრებდა.

რატომ არ შეხედა ლომაიამ, საით მიფრინავდა ბურთი სინამდვილეში? ამ კითხვაზე პასუხს ბოლოხანს უთამაშებელი ქართველი მეკარე თავად გვეტყვის, შორიდან კი ეს ყველაფერი მეტისმეტად უჩვეულო სანახავი გამოვიდა — შედეგად, საქართველოს ნაკრებმა თითქმის გადარჩენილი პირველი ტაიმი მაინც წააგო და გოლიც ყველაზე გულდასაწყვეტ დროს, მსაჯის სასტვენამდე წუთით ადრე გაუშვა.

ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა მეორე გოლიც გაუშვა, უკვე თამაშის მიწურულს, 84-ე წუთზე, თუმცა ამან გული ალბათ მაინც ნაკლებად გვატკინა და რატომ, იცით? იმიტომ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არაფერი ეტყობოდათ, რომ იმ, პირველ ტაიმში გაშვებული ბურთის გამთანაბრებლები იყვნენ.

თამაშის სურათი ისევ პირველი ტაიმისა იყო — იტალია უტევდა, ხოლო საქართველო ცდილობდა, არ გაეშვა. სხვა სიტყვებით, თამაში უკვე წაგებული იყო და საქმე ანგარიშის გარკვევაზეღა იდგა. საბოლოოდ ასე გაირკვა: 0:2. საკმარისი იყო, ზურაბ ხიზანიშვილს ფეხი მალხაზ ასათიანის დასახმარებლად ტონისკენ გადაედგა და ფაბიო გროსო მიეტოვებინა, რომ „ბაიერნის" ფორვარდმა ბურთს ოსტატურად ამოჰკრა და გროსოს ნანატრი სიტუაცია შეუქმნა... აქ, ნება მოგვეცით, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ ტონის საუცხოო თამაში. ამ ფორვარდმა პირველ ტაიმში ერთიც ისეთი თავური გაარტყა ძელს, კაცი ინატრებდა, ნეტავ, ასე ლონივრად ჩვენებიც გამოვარდებოდნენ მეტოქის მცველთა ულრანიდან და ჯანდაბას, ერთხელ თუგინდ, ძელი იყოსო.

ისე კი, მართალი რომ გითხრათ, ამ თამაშზე საუბრისას გული მომენტების აღწერისკენ არ გვიწევს. ანდა, ჩვენ რა გიამბოთ, ყველაფერი ხომ თავად ნახეთ და უკეთ იცით, რა მოხდა და როდის. ისიც კარგად გეხსომებათ, ინიციატივას სულ იტალიელები რომ ფლობდნენ და ისიც, ქართველები პირველიდან ბოლო წუთამდე თავს რომ იცავდნენ, რასაც მეტწილად არცთუ ცუდად აკეთებდნენ.

დიახ, ჩვენი ბოლო ნათქვამი ნუ გაგიკვირდებათ, რადგან ის, რომ გენუაში საქართველოს ნაკრებს იტალიელები შეუტევდნენ, მით უფრო მაშინ, როდესაც გათამაშების ცხრილი მათგან მხოლოდ მოგებას ითხოვდა, ჩვენთვის გასაკვირი არ იყო, ხოლო ის, რომ ქართველებმა მეტწილად — ვიმეორებთ, მეტწილად — თავი ყურადღებით დაიცვეს და ერთმანეთსაც ფხიზლად და გარკვეული ლოგიკის შესაბამისად აზღვევდნენ, ძალიან ძნელი დასანახიც არ იყო.

პრობლემა სხვა გახლდათ: მარტო დაცვა ძალიან სახიფათო რამ არის. ასე მოთამაშე გუნდს, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად გაუვა ერთი გოლი მაინც. მოწინააღმდეგე აუცილებლად უნდა დაძაბო, ზურგზე აფიქრო, რათა თავისი ენერგიის ასივე პროცენტი შენი ჯებირის ნგრევას არ მოანდომოს.

და რატომ ვერ მოახერხეს ჩვენებმა ეს?

ამ კითხვაზე პასუხის ორი ვარიანტი გვეგულება. ერთი: ჩვენებს ეს არ შეუძლიათ, იმიტომ, რომ უიმედონი არიან და მეორე: რაღაც სწორად არ გაკეთდა, თორემ რაც შევძელით, იმაზე ცოტათი მეტს მაინც შევძლებდით.

კატეგორიულად არაფრის მტკიცება არ გვინდა, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა მთლად ოპტიმალურად არ იყო შერჩეული. თუნდაც ყმაწვილი ლევან მჭედლიძის ამბავზე დავფიქრდეთ. ეს იმედისმომცემი ახალგაზრდა ივნისის შემდეგ ტრავმირებულია და მისი პირდაპირ დიდი, ეროვნული, სრულიად საქართველოს ნაკრების ძირითადში დაყენება რამდენად გამართლებული იყო, არ ვიცით. მეორეც, ლევანი იტალიური „ემპოლის" წევრია, ოღონდ ძირითადში ჯერ არ უთამაშია. მას ღმერთმა დიდი კარიერა მისცეს, მაგრამ რას იტყოდით, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ რომელიმე მეტოქემ გორის „დილას" ტრავმირებული იუნიორი რომ გამოიყვანოს, თან ისეთი, რომელსაც ჯერ გორელთა ძირითადშიც კი არ უთამაშია? ამას როგორ აღიქვამდით? რა უთხრა „ემპოლელი ბავშვის" ძირითადში დაყენებით კლაუს ტოპმოლერმა იტალიელებს? აი, ეს არის საინტერესო, თორემ თავად ლევანს, დებიუტსაც ვულოცავთ და ერთხელაც ვუსურვებთ დიდ კარიერას.

ცნობისთვის: მისი ამპლუის ხალხიდან საქართველოს ნაკრებს სათადარიგოთა სკამზე დავით სირაძე, დიმიტრი ტატანაშვილი და ლაშა ჯაკობია ჰყავდა. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ თამაშის, ვთქვათ, სირაძით დაწყება და ლევან მჭედლიძის შემდეგ შეყვანა, შესაძლოა, ყველასთვის უფრო კარგი გამომდგარიყო.

ყმაწვილკაცთაგან ქვეყნის მთავარ გუნდში კვლავ გამოჩნდა ლევან ყენია, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში აქტიური მონაწილეობა მიიღო და კარგის მეტი არაფერი გვეთქმის, თუმცა, როგორც ვატყობთ, ჩვენდა უნებლიედ, წერილის ტონალობა გვეცვლება და იტალია — საქართველოს თამაშის შეფასებიდან ქართული ფეხბურთის მომავალზე ვიწყებთ მსჯელობას, ეს კი, მოდით, სხვა დროისთვის გადავდოთ...



ჯენარო გატუზო და ლევან ცქიტიშვილი

AFP



მეგოლეები: ანდრეა პირლო და ფაბიო გროსო

### ამხანაგური მატჩი

მექსიკა 2:2 ნიგერია

### მექსიკა

აპერტურა. XII ტური

პუებლა 1:1 კრუზ ასულ

უნამი 3:0 ტიგრესი

### ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. VIII ტური

ელჩე 2:0 მალაგა

### აშშ

მეიჯორ ლიგა. XXIX ტური

ჩივასი 1:2 კოლორადო

### ბრაზილია

სერია A. XXXI ტური

ვასკუ და გამა 2:1 ბოტაფოგო

## მატჩის სტენოგრამა

3 წუთი: ჯანლუიჯი ბუფონი ჯაბა კანკავას დარტყმულს იგერიებს.

4: გიორგი ლომაია ანტონიო დი ნატალეს დარტყმულს გადაელობა.

7: კანკავამ კარისკენ არაზუსტად დაარტყა.

10: დი ნატალეს ჯარიმიდან დარტყმული კარს ასცდა.

13: კვალიარელამ კარს ვერ დაუმიზნა.

20: დი ნატალეს დარტყმული ლომაიამ მოიგერია.

25: ლუკა ტონი თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა.

27: ტონიმ ბურთი ძელს გაარტყა.

35: ტონის დარტყმული ლომაიამ კუთხურზე მოიგერია.

36: დი ნატალემ ანდრეა პირლოს კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დაარტყა, მაგრამ მცველებმა მოიგერიეს.

38: გიორგი დემეტრაძე თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა.

44: პირლომ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0.

45: ლომაიამ პირლოს დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

65: ლომაიამ დი ნატალეს აუღო.

69: ლაშა სალუქვაძე დაჯარიმდა. ტონის საჯარიმო ლომაიამ მოიგერია.

79: პირლოს საჯარიმოთი დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელში მდგომ დავით კვირკველიას ხელზე მოხვდა.

84: ტონის პასით ფაბიო გროსომ მეორე გოლი გაიტანა.

90: ლევან ყენიას დარტყმული კარს ასცდა.

### კომენტარები

**რობერტო დონადონი:** ამ სალამოს ჩვენი ერთადერთი მიზანი მოგება იყო და ეს შევძელით, პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთი ჩავატარეთ კარგად და გოლიც გავიტანეთ. მეორე ნახევარში ტემპი ისევ გავანელეთ, თუმცა ფაბიო გროსომ ულამაზესი გოლით ყველაფერს წერტილი დაუსვა. პოზიტიური ისაა, რომ საქმეში ვნახე პასკუალე ფოჯა.

**კრისტიან პანუჩი:** ჩემთვის ამაღელვებელი იყო იმ სტადიონზე თამაში, სადაც ვიზრდებოდი. შედეგით გახარებული ვარ. მართალია, საუკეთესო თამაში არ გვიჩვენებია, მაგრამ ამ მომენტისთვის სამი ქულა გვჭირდებოდა. თანაც, ვეთამაშებოდით გუნდს, რომელიც ბურთთან ძალიან ახლოსაა, ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს.

მთავარი მატჩი შოტლანდიაში დაგვრჩა, სადაც უნდა დავივიწყოთ, რომ იტალია ვართ და უნდა ვიომოთ.

**ჯანლუიჯი ბუფონი:** შესაძლოა, 26 ქულა დავაგროვოთ და მაინც ვერ გავიდეთ ჯგუფიდან, რაც, ცხადია, ტრაგედია იქნება ჩვენთვის. იმედი მაქვს, შოტლანდია თბილისში ქულებს დაკარგავს. ყოველ შემთხვევაში, რომ გაუჭირდებათ, ამაში დარწმუნებული ვარ.

**ფაბიო გროსო:** ადვილი მატჩი არ გვქონია. რამდენჯერმე პრობლემა შეგვექმნა, თუმცა საგოლე მომენტებიდან ორი გამოვიყენეთ.

ჯგუფიდან გასვლის შანსები? შოტლანდიას ჯერ არ მოუგია საქართველოში და, იმედია, ამას ვერც მოახერხებს. შოტლანდია გრანდი და პირველობას მიჩვეული ნაკრები არ არის, ამიტომაც გაუჭირდება.

**კლაუს ტოპმიოლერი:** ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, პირველი ტაიმის მიწურულს არაფრისგან მივიღეთ გოლი.

ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ნაკრების დაცვამ თვით ლუკა ტონი ამოკეტა.



# შეცდომას განვიცდი

## ლომაია პირლო-ტონის წყვილმა მოატყუა

დარწმუნებულნი ვართ, საქართველოს ნაკრების გულშემატკივარს ანდრეა პირლოს გოლის შემდეგ ეს კითხვა გაუჩნდა: რატომ გააკეთა გიორგი ლომაიამ ასეთი გაუგებარი რეაქცია? თბილისში ჩამოსულ ლომაიას პირველად სწორედ ეს ვკითხეთ...

— დარტყმის მომენტში ბურთს ვერ ვხედავდი, დარტყმისას კი ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა. ხოლო ჩემი ასეთი რეაქცია რამაც განაპირობა, გეტყვით: მანამდე ასეთივე ჯარიმა შეასრულა პირლომ, მაშინ გადაცემა ლუკა ტონიზე გააკეთა და მეგონა, ანალოგიურად თუ აწვდიდა... აი, ამან შემაცდინა. სხვა რა მეთქმის...

**— ზოგადად, მატჩზე რას იტყვით?**

— მსოფლიოს ჩემპიონებს ვეთამაშეთ და, ვფიქრობ, ურიგოდ არ გამოვიყურებოდით. ჩვენ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც გვაკლდა. იტალიის ნაკრებმა კი თავის სტილში ითამაშა და, რომ იტყვიან, კლასით მოგვიგო.

**— ოთხშაბათს შოტლანდიის ნაკრები ჩამოდის თბილისში და ამ გაშვებულმა გოლმა ფსიქოლოგიურად ხომ არ დაგთრგუნა? სათამაშოდ მზად ხარ?**

— რა თქმა უნდა, შეცდომას განვიცდი, მაგრამ ახლა ყველაფერი მალე უნდა დავივიწყო და შოტლანდიასთან თამაშზე ვიფიქრო.

**— შოტლანდია კი ჯგუფის ლიდერია...**

— მათ უეჭველად მოგება სჭირდებათ და დიდი ბრძოლა გველის. საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსი კი აქვს დაკარგული, მაგრამ პრესტიჟის საქმეა — სასიამოვნოა, ლიდერს რომ მოუგებ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ოთარ გაბელია გაკვირვებულია

## რა კანონი დაარღვია გიორგი ლომაიამ?

„ოქროს დინამოს" მეკარე ოთარ გაბელია ამჟამად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობს მეკარეების მწვრთნელად. მის ხელში გამოიარა საქართველოს ნაკრებში მოთამაშე თითქმის ყველა მეკარემ. იტალია — საქართველოს გუშინწინდელი მატჩის შემდეგ ძალიან მომინდა, მეკითხა ოთარ გაბელიასთვის, თუ რა რეაქცია ჰქონდა ანდრეა პირლოს გოლზე და, აი, ასეთი პასუხი მივიღე



— კურიოზული გოლი იყო. ძალიან გამიკვირდა გიორგი ლომაიას რეაქცია. მგონი, გიორგი იმ ეპიზოდმა შეაცდინა, როცა მანამდე პირლომ ტონის გაუკეთა გადაცემა და მან თავით დაარტყა. ალბათ, იფიქრა, იგივეს აკეთებსო და ამიტომაც მოხდა ასე. დაუშვებელია ერთი: ასეთი რამ მეკარემ წინასწარ არ უნდა გათვალოს და მომენტს ბოლომდე უნდა მიჰყვეს. ისე კი, შეუმცდარი მეკარე არ არსებობს და არც ლომაიაა გამონაკლისი.

**— როგორც ფიქრობთ, უგუნდო და სათამაშო პრაქტიკას მოკლებულ მეკარეს უნდა იწვევდნენ ეროვნულ ნაკრებში?**

— ამ ეტაპზე სხვას ვის გამოიძახებდნენ?! ჩვენი დიდი პრობლემა იცით, რა არის? ვინც ნაკრების კანდიდატები არიან, ყველას აკლია სათამაშო პრაქტიკა. ვარჯიში სხვაა, თამაში კი სულ სხვა. თუ მეკარეს სათამაშო პრაქტიკა არ აქვს, წარმოუდგენელია, მან კარგი ფორმა შეინარჩუნოს.

**— საქართველოს ნაკრებში მოთამაშე თითქმის ყველა მეკარეს თქვენს ხელში გაუვლია. სტაბილურობა მეტ-ნაკლებად ყველას აკლდა და მაინც, ყველაზე უკეთესი რომელი იყო?**

— ყველას ჰქონდა ჩავარდნებიც და კარგი მატჩებიც, მაგრამ, ჩემი აზრით, საუკეთესო აკაკი დევაძე იყო.

**— დღეს ახალგაზრდულ ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი ხართ. მათზე რას იტყვით?**

— ყველა მათგანი ნიჭიერია, არც შრომა ეზარებათ, მაგრამ მათაც იგივე პრობლემა აქვთ — სისტემატურად ძირითადში ვერ თამაშობენ, არადა, ისეთ ასაკში არიან, რომ სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი მეკარე აღიზარდოს?**

— პირველ რიგში, აუცილებელია, ბავშვი სადაც ვარჯიშობს, ჰყავდეს მეკარეთა მწვრთნელი. მხოლოდ კარგი დარტყმებით ვერ გაიზრდება მეკარე, ამისთვის საგანგებო ვარჯიშები და განათლებული მწვრთნელია საჭირო.

**— ფსიქოლოგიური მომზადება რამდენად მნიშვნელოვანია?**

— ამაზე უმთავრესად კლუბებში უნდა იმუშაონ. ფსიქოლოგიურად ფეხბურთელს სამოთხ დღეში ვერ მოამზადებ.

**ნუკრი ლოლაძე**

ლოგიკურად ასეა: თუ არ შეგეშალა, მეტოქე გოლს ვერ გაგიტანს. მეტოქესაც თუ არ შეეშალა, თამაში 0:0 დამთავრდება

# რა არის გოლი?



[illegible] ფოტო




შეცდომა შეცდომაა, მაგრამ რაც ამ ევროშესარჩევში ვნახეთ, ალბათ ნამეტანია

**საქართველოს** ნაკრების საყურადღებოდ!

*ფიფას მიერ 2007 წლის ივლისში დამტკიცებული ფეხბურთის თამაშის წესები.*

*წესი მეათე.*

***გოლი***

*1. გოლი ითვლება, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ძელებს შორის და ხარიხის ქვეშ არსებულ ხაზს, ოღონდ გოლის გატანის წინ ფეხბურთის არც ერთი წესი არ უნდა იყოს დარღვეული.*

*2. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც თამაშის განმავლობაში მეტ გოლს გაიტანს.*

ფიფას წესებში ზუსტად არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში ითვლება გოლი, მაგრამ, ჩვენთვის სამწუხაროდ, არსად წერია, რომ შემტევი გუნდის ფეხბურთელი ჯარიმის დასარტყმელად თუ ემზადება, დამცველი გუნდის მეკარემ კარის კუთხე წინასწარ არ უნდა აირჩიოს და მით უმეტეს, იქით არ გადახტეს. ასეთ შემთხვევაში, შემტევი გუნდის ფეხბურთელის დარტყმული ბურთი თუ გადაკვეთს კარის ძელებს შორის და ხარიხის ქვეშ არსებულ ხაზს — არის გოლი!

ფიფას წესებში, ჩვენთვის ასევე სამწუხაროდ, ვერსად შევხვდით იმ მუხლს, სადაც წერია, რომ დამცველი გუნდის ფეხბურთელის ელემენტარული შეცდომის შედეგად გატანილი გოლი არ უნდა ითვლებოდეს და მეტოქე გუნდის შეტევა თავიდან იწყებოდეს. არადა, ასეთი წესი ჩვენი ნაკრებისთვის მართლაც რომ მისწრება იქნებოდა...

ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა ჯერჯერობით 10 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი მიიღო. 9-ჯერ ჩვენების კარის ძელებსა და ხარიხის შორის არსებული ხაზი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტების დარტყმულმა ბურთებმა გადაკვეთეს, 8-ჯერ — სხვათა დარტყმულებმა. ახლა კი კიდევ ერთხელ ვთქვათ სამწუხაროდ და ის მომენტები გავიხსენოთ, როცა მეტოქეებმა ჩვენების ბავშვური შეცდომებით ისარგებლეს და გოლები ფიფას მე-10 წესის სრული დაცვით გაიტანეს. ასეთი ეპიზოდი 17-დან 9 იყო:

*ეპიზოდი 1.* საქართველო 0:3 საფრანგეთი. თამაში ახალდაწყებული გახლდათ, როცა სტუმართა ნახევარმცველმა ფლორენ მალუდამ დაახლოებით ოცი მეტრიდან კარში არც თუ ძლიერად დაარტყა. მეკარემ რეაქცია დააგვიანა და ბურთს ველარ შესწვდა.

*ეპიზოდი 2.* ამავე მატჩში, მალუდას გოლიდან რამდენიმე წუთში ლუის საამ გააგორა ბურთი კარის შორეული კუთხისკენ. მეკარემ ბურთს თითები წაატანა, მაგრამ ნაკრები გოლს ვერ ასცდა.

*ეპიზოდი 3.* უკრაინა 3:2 საქართველო. მასპინძლებმა ჩვენების საჯარიმოში ბურთი შორიდან ჩააწოდეს. მეკარემ სცადა გამოსვლაზე თამაში, მაგრამ უხეშად შეცდა და რუსლან როტანმა გაიტანა.

*ეპიზოდი 4.* საქართველო 1:3 იტალია. თამაშის მე-17 წუთზე დანიელე დე როსიმ დაახლოებით 35 მეტრიდან დაარტყა. სახიფათო არაფერი იყო, თუმცა ბურთი მეკარეს რალაცნაირად ქვეშ გაუძვრა და მსოფლიოს ჩემპიონები დაწინაურდნენ.

*ეპიზოდი 5.* იმავე მატჩში მაურო კამორანეზიმ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან თავით გაიტანა. მისთვის ხელისშემშლელი ალარავინ გამოჩნდა.

*ეპიზოდი 6.* კამორანეზის თავურიდან ცხრა წუთში ლამის ნახევარი გუნდის დაუდევრობით ჯანლუკა ძამბროტამ ისარგებლა და მესამე გოლი გაიტანა. მის დარტყმულს ვერავინ დააფარა.

*ეპიზოდი 7.* შოტლანდია 2:1 საქართველო. მატჩის ბოლოსწინა წუთზე გადამწყვეტი ორთაბრძოლისას მცველს კრეიგ ბიტი უპრობლემოდ დაუსხლტა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

*ეპიზოდი 8.* საქართველო 1:1 უკრაინა. თამაში 8 წუთის დაწყებული იყო, როცა სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს. შორეულ ძელთან ოლეგ შელაევის პატრონი არავინ გამოჩნდა. ჩაწოდებულზე მეკარე თითქოს გამოვიდა და არც გამოვიდა. უკრაინელი კარიდან მეტრში იმყოფებოდა, მცველები კი სხვაგან იყვნენ.

*ეპიზოდი 9.* იტალია 2:0 საქართველო. ანდრეა პირლომ ბურთი საჯარიმოდან ჩააწოდა, მეკარე კი სად წავიდა, ვერ გავიგეთ. იტალია დაწინაურდა.

17-დან 9 ძალიან ბევრი ხომ არ არის? ასეთი აბსურდული გოლების გატანას ალბათ თვით სახელოვანი მეტოქეებიც ვერ წარმოიდგენდნენ, მაგრამ, ცხადია, საჩუქარზე უარი არ უთქვამთ.

ამ ცხრა ეპიზოდს შორის არ გვიხსენებია ლიტვის გოლი ჩვენების კარში და საფრანგეთთან თბილისში მიღებული მესამე გოლი. კაუნასში ქართველ მცველს თავდამსხმელთან ორთაბრძოლისას ფეხი დაუცდა და ლიტველმა ამით ისარგებლა, ხოლო თბილისში მცველს ბურთი აეჭრა და კარში ისე ჩაეშვა. არ ითქმის, რომ ეს ორი გოლი ჩვენების უთავბოლობას მოჰყვა, თუმცა ორივე ძალიან დასანანი იყო.

მოკლედ, რაღა დაგვრჩენია, უნდა შევეგუოთ ფიფას მე-10 წესს და ჩვენს ფეხბურთელებს მომავალში უფრო ყურადღებით თამაში ვთხოვოთ. მწვრთნელებს კი შეგირდებისთვის ევებ უკეთ განემარტათ — რა არის გოლი.

**კობა ინასარიძე**

ეს გენუის მატჩის ფოტოა. ეს წუთია, ანდრეა პირლომ ჯარიმიდან არცთუ სახიფათოდ ჩააწოდა და მეკარე კარიდან და კადრიდან დაკარგა.

**კითხვა:**

სად არის ჩვენი ეროვნული გუნდის მეკარე?



2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

# შოტლანდია თბილისში პირველით ჩამოდის



AFP

შოტლანდიელები ევროპის ჩემპიონატისკენ იხედებიან

**შოტლანდია 3:1 უკრაინა**

1:0 მილერი (4), 2:0 მაკკალოხი (10), 2:1 შევჩენკო (24), 3:1 მაკფადენი (68)
**შოტლანდია:** გორდონი, ნეისმიტი, ჰატონი, მაკმანუსი, ვეირი, ბრაუნი (მელოუნი 76), ფერგიუსონი, მაკკალოხი (დეილი 60), პირსონი, მაკფადენი (ოკონორი 80), მილერი
**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ჩიგრინსკი, კუჩერი, იეზერსკი, ნესმაჩნი, გუსევი (როტანი 46), ტიმოშჩუკი (შელაევი 73), გლადკი, ვორობეი (ნაზარენკო 62), შევჩენკო, ვორონინი
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**გაფრთხილება:** ნესმაჩნი, შევჩენკო, ვორობეი, ფერგიუსონი, მაკკალოხი, როტანი, მილერი, ოკონორი
**მსაჯი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)
51 366 მაყურებელი

**უკრაინის** ნაკრებმა „ჰემპდენ პარკზე" მარცხით საბოლოოდ დაკარგა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი, „მამაცი გულები" კი მამაცად მიიწევენ სანუკვარი მიზნისკენ.

ალექს მაკლიშის შეგირდებმა თავიდანვე გაგუდეს მეტოქე და მე-10 წუთზე ორი ბურთით დაწინაურდნენ: ლი მაკკალოხმა ჯერ კენი მილერს ჩააწოდა საგოლე გადაცემა, მანაც ყველას დაასწრო და თავით გაუტანა ახლო კუთხეში ალექსანდრ შოვკოვსკის, რომელიც აშკარად შეცდა. შემდეგ კი თავად მაკკალოხმა ჩაჭედა ბურთი უკრაინელთა კარის ცხრიანში.

გაშვებულმა გოლებმა ვერ გატეხეს სტუმრები და მალე მათ ერთი ბურთი გაქვითეს. ანდრეი ნესმაჩნის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს შოტლანდიელები ვერ გაუმკლავდნენ და ანდრეი შევჩენკომ ახლო მანძილიდან იყოჩაღა — მისი ცაციათი დარტყმულს კრეიგ გორდონმა ვერაფერი მოუხერხა და 2:1.

მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა...

უკრაინელები ტაიმის ბოლომდე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ რეალური საგოლე შანსი არ მისცემიათ. შოტლანდიელები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში თავს იცავდნენ და კონტრშეტევაზე თამაშობდნენ. ასეთ შეტევას მოჰყვა უკრაინელთა კარში გატანილი კიდევ ერთი გოლი: ალან ჰატონმა დიაგონალური გადაცემა გაუკეთა ჯეიმს მაკფადენს, რომელიც რამდენიმე მცველს გასცდა და დაბალი დარტყმით შოვკოვსკი ხახამშრალი დატოვა.

სხვათა შორის, ეს მაკფადენის მესამე გოლი იყო ბოლო სამ შეხვედრაში.

შოტლანდიელები კვლავ B ჯგუფის ლიდერები არიან. მათ ორი სამკვდრო-სასიცოცხლო მატჩი აქვთ დარჩენილი — ოთხშაბათს თბილისში საქართველოს ნაკრებთან, ბოლოს კი შინ იტალიასთან.

**ნუკრი ლოლაძე**

# ანრი უეფას პრეზიდენტია

## საფრანგეთი საქართველოს რეკორდში ჩაუზიარდა

**ფარერები 0:6 საფრანგეთი**

0:1 ანელკა (6), 0:2 ანრი (8), 0:3 ბენზემა (50), 0:4 როტენი (66), 0:5 ბენზემა (81), 0:6 ბენ არფა (90)
**ფარერები:** მიკელსენი, ბენიამინსენი, ჰანსენი, კ. იაკობსენი, ი. იაკობსენი, ელტორი (მიდიორდი 46), ოლსენი, ს. სამუელსენი (ფლოტუმი 86), თომასენი (იესპერსენი 78), ჰოლსტი, რ. იაკობსენი
**მწვრთნელი:** მარტინ ოლსენი
**საფრანგეთი:** ლანდრო, სანია, ტურამი, აბიდალი, ევრა, რიბერი (ბენ არფა 64), მაკელელე (ლ. დიარა 73), ტულალანი, როტენი, ანრი, ანელკა (ბენზემა 46)
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი
**გაფრთხილება:** თომასენი
**მსაჯი:** გაბრიელე როსი (სან მარინო)
8 076 მაყურებელი

**ტიერი ანრიმ** 41-ე სანაკრებო გოლი შეაგდო და მიშელ პლატინის გაუთანაბრდა საფრანგეთის ნაკრებში გატანილი გოლებით.

რას შეეძლო, ხელი შეეშალა „მამლებისთვის"? რას და, ჯერ კიდევ თამაშის დილას აფორიაქდნენ და თანაც, როგორ. წარმოიდგინეთ, საფრანგეთის ნაკრები მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე ჩავიდა ფარერების დედაქალაქ ტორსჰავნში. უამინდობის გამო თვითმფრინავი ნორვეგიულ ბერგენში დაფრინდა და ფრანგები უკვე აპირებდნენ, უეფასთვის მიემართათ მატჩის გადადების თაობაზე.

სამი საათით კი არა, სამი წუთით ადრეც რომ მისულიყვნენ, რაიმონ დომენეკის „მამლები" ნაწილ-ნაწილ დაკორტნიდნენ კუნძულელებს.

8 წუთი იყო გასული და სტუმრები ფრანკ რიბერის ორი კროსის შემდეგ უკვე 2:0-ს იგებდნენ. ჯერ ნიკოლა ანელკამ გაიტანა, 70 წამში კი ანრიმაც შეაგდო უეფას პრეზიდენტის დამწევი გოლი.

შესვენებაზე დომენეკმა ანელკა შეცვალა და „ლიონის" 19 წლის ფორვარდი ქარიმ ბენზემა შეიყვანა, ვინც დუბლი გამოაცხო. ერთხელ მასაც რიბერი დაეხმარა, მეორედ კი ანრის პასით იხეირა. ბენზემას გოლებსშუა კი ნაკრებში კარგახნის შემდეგ დაბრუნებულმა ჟერომ როტენმა გაიტანა ცხრიანში.

ბოლო წუთებზე საცოდავ ფარერებს მეექვსე ლახვარი ჰატემ ბენ არფამ ჩასცა. „ლიონის" წარმოშობით ტუნისელმა გარემარბმა ბოლო 25 წუთი იბურთავა და ამ პერიოდში უდავოდ საუკეთესო იყო.

ერთი, რაც საამაყო ჰქონდა საქართველოს ნაკრებს, ამ ჯგუფში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება იყო, თუმც „მამლებმა" ჩვენსავით 6:0 მიანგრიეს კუნძულელები.

საფრანგეთი 17 ოქტომბერს ლიტვას მასპინძლობს, ბოლოს კი უკრაინაში ჩადის და თუ ორივეს მოიგებს, უპრობლემოდ გავა ევროპის ჩემპიონატზე, თუ არა და, ვნახოთ, რას გაარკვევენ ერთმანეთში შოტლანდია და იტალია...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 10 | 8 | 0 | 2 | 20:8 | 24 |
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| საფრანგეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:3 | 22 |
| უკრაინა | 9 | 4 | 1 | 4 | 11:12 | 13 |
| ლიტვა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:11 | 10 |
| საქართველო | 10 | 2 | 1 | 7 | 14:17 | 7 |
| ფარერები | 10 | 0 | 0 | 10 | 3:35 | 0 |



AFP



# პეტარ სეგრტს პოლიტიკაში ითრევენ

## გაუცემელ რუსულ ვიზაში ყაზახური ხელიც ურევია?

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყაზახეთში წასვლამდე ბოლო ვარჯიში გლდანში „ამერზე" გამართა.

სანამ ვარჯიშზე ვიტყოდეთ, მანამდე ერთ ძალიან საყურადღებო ფაქტზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. რამდენიმე დღის წინ „სარბიელში" შემოგთავაზეთ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ პეტარ სეგრტთან ინტერვიუ, სადაც ხორვატმა თქვა, მოსკოვში რუსეთი — ყაზახეთის მატჩის სანახავად მივდივარ, რუსეთის საელჩომ დადებითი პასუხი მითხრა და ვიზას მაძლევსო. საქმე კი თურმე სხვანაირად ყოფილა...

აი, რა გვითხრა გუშინ სეგრტმა: „რუსეთის საელჩომ ბოლოწამს უარი მითხრა და ვიზა არ მომცა. გაოგნებული ვარ! არანაირად არ მინდა ამ თემის პოლიტიზირება. ერთს კი ვიტყვი: ეს არ იყო კორექტული საქციელი. როგორც მითხრეს, ამ ამბავში დიდი წვლილი ყაზახებსაც მიუძღვით, მაგრამ არა უშავს. ისინი ორივე ჩვენს ჯგუფში არიან და მოედანზე უნდა გავცეთ პასუხი!"

რაც შეეხება ვარჯიშს, იგი საათსა და ორმოცდახუთ წუთს გაგრძელდა. გუნდს ეროვნული ნაკრებიდან დაუბრუნდა „მერანის" მეკარე რევაზ თევდორაძე, მაგრამ იყო დანაკლისიც — მაღალი ტემპერატურის გამო არ უვარჯიშია რევაზ ბარბაქეს. წაიყვანენ თუ არა მას ყაზახეთში, მწვრთნელებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ.

ძუნძული, კვადრატი, ფლანგებიდან ჩაწოდებები და ორკარა — ასეთი იყო ვარჯიშის გეგმა.

გიორგი მერებაშვილს ორკარაში მონაწილეობა არ მიუღია, მან მხოლოდ იძუნძულა, რადგან კუნთი დაეჭიმა. ასევე მცირე პრობლემა აქვს გიორგი ფოფხაძეს, მაგრამ ეს ფეხბურთელები დღეს გუნდს ყაზახეთში ალბათ გაჰყვებიან.

**ნუკრი ლოლაძე**



# ჩამოიყვანს მაკლიში დარენ ფლეტჩერს?

**შოტლანდიის** ნაკრებს თბილისში, შესაძლოა, საუკეთესო ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი მაინც ჩამოჰყვეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" მარჯვენაფლანგელი უკრაინასა და საქართველოსთან მატჩებისთვის გამოძახებული არ იყო, რადგან ტრავმა ჰქონდა. ახლა კი „მამაცი გულების" თავკაც ალექს მაკლიშს მისი იმედი მიეცა.

„ფლეტჩერის მდგომარეობაზე ალექს ფერგიუსონს ველაპარაკე და მან მითხრა, დღეს-ხვალ მივიღებ გადაწყვეტილებასო. დარენმა სამი კვირა გამოტოვა, მაგრამ უკვე კარგ კონდიციაშია."

მაკლიშმა ორიოდე სიტყვა ქართველებზეც თქვა, ურიგო ნაკრები არ ჰყავთ, გლაზგოში დიდი ბრძოლა გაგვიმართეს და არც თბილისში მაქვს გასეირნების იმედიო...

„თუმც შოტლანდიის ნაკრებს თითოეული მოგებული შეხვედრა საოცარ მუხტს და თავდაჯერებას მატებს. ყველა ხედავს, რომ ჩვენ სწორად და მიზანდასახულად ვმუშაობთ."

**ილია ნანობაშვილი**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# დენი და შმოლარეკი ერთად მოვიდნენ



დეკუს პორტუგალიამ საჭირო სამი ქულა აიღო

AFP

**A ჯგუფი**

**პოლონეთი 3:1 ყაზახეთი**

0:1 ბიაკოვი (20), 1:1, 2:1, 3:1 შმოლარეკი (56, 65, 66)

**პოლონეთი:** ბორუცი, ბაკი, ბრონოვიცკი, დუდკა, იოპი, კრჟინოვეკი, ლობოძინსკი (კოხოვსკი 80), საგანოვსკი (ჟურავსკი 46), შმოლარეკი, ჟევლაკოვი (ვასილევსკი 46), ლევანდოვსკი

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

**ყაზახეთი:** ლორია, სმაკოვი, ლიაპკინი, ნურდაულეტოვი, კუჩმა, ბალტიევი, ლარინი (ხუთუმაგამბეტოვი 53), სკორიხი (კარპოვიჩი 81), ჟუმასკალიევი, ბიაკოვი (აშირბეკოვი 85), ოსტაპენკო

მწვრთნელი: არნო პიპერსი

გაფრთხილება: ლიაპკინი

მსაჯი: ეხპენ ბერნტსენი (ნორვეგია)

12 000 მაყურებელი

**მეორე** ტაიმის დასაწყისში სტადიონზე დენი გაითიშა — ამ მომენტისთვის სენსაციის სუნი ტრიალებდა, რადგან ყაზახები ჯგუფის ლიდერს ამარცხებდნენ. მაგრამ მოვიდა დენი და მოიტანა ები შმოლარეკის ჰეთ თრიქი.

პოლონელებმა დასაწყისშივე შეუტიეს დავით ლორიას კარს — მარეკ საგანოვსკიმ მეკარეს დაუმიზნა, შმოლარეკს კი სიზუსტე დააკლდა. იერიშებით გართულ მასპინძლებს კონტრშეტევა გაეპარათ და სტუმრები დაწინაურდნენ. სერგეი ლარინმა მარცხნიდან ჩააწოდა და დმიტრი ბიაკოვმა ცაციით გაიტანა.

საგანოვსკიმ ამის მერე ორჯერ დაარტყა, შეეძლო, შესვენებამდე გაეზარდა სხვაობა, მაგრამ ნაკუთხურალი ბურთი ახლოდანააცილა კარს.

შესვენების შემდეგ კი შუქი ჩაქრა და მოსვლისთანავე ები შმოლარეკი გაავიჟა. „რასინგის" ფორვარდმა სამი გოლი თერთმეტ წუთში გაიტანა და პოლონელები მდევარ პორტუგალიას ოთხი ქულით გაექცნენ.

**აზერბაიჯანი 0:2 პორტუგალია**

0:1 ალვეში (12), 0:2 უგო ალმეიდა (45)

**აზერბაიჯანი:** ველიევი, აბასოვი, ვ. ალიევი, ა. ქარიმოვი, ოგლუ ჩერტოგანოვი, ე. გულიევი, ი. გურბანოვი (მამედოვი 56), იმამალიევი (მაშიმოვი 7), ს. ალიევი (ა. გურბანოვი 73), სუბაშიჩი

მწვრთნელი: შაჰინ დინიევი

**პორტუგალია:** რიკარდუ, მიგელი (ფ. რიბეირუ 75), პ. ფერეირა, რ. კარვალუ, ბ. ალვეში, დეკუ, მანიშე, ჟოზე, უგო ალმეიდა, რონალდუ, კუარეზმა (ნანი 70)

მწვრთნელი: ფლავიო ტეიშეირა

გაფრთხილება: ოგლუ, რიბეირუ

გაძევება: ქარიმოვი (29)

მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია)

30 000 მაყურებელი

მიჯრით სამი ფრის შემდეგ მწვრთნელდასჯილმა პორტუგალიამ ბაქოში გაიხარა და ჯგუფიდან გასვლის შანსი გაიუმჯობესა.

ბრუნო ალვეშმა და უგო ალმეიდამ შესვენებამდე გაუტანეს მასპინძლებს. ორივესთვის ეს იყო პირველი სანაკრებო გოლი.

გოლებს შორის, 29-ე წუთზე, აზერბაიჯანელთა კაპიტანმა ასლან ქარიმოვმა კრიშტიანუ რონალდუს იდაყვი უთავაზა და გააძევეს, მე-11 წუთზე ალმეიდას დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია, დეკუმ ჩააწოდა და ბრუნო ალვეშმა გაიტანა. ამის მერე კვარესმას, დეკუს და რონალდუს ჰქონდათ მომენტები, ერთხელ ბურთი ძელსაც გაარტყა.

ტაიმის მიწურულს სტუმრებმა სხვაობა გაზარდეს — ლუიშ მიგელის პასით უგო ალმეიდამ იხეირა.

შესვენების შემდეგაც არაერთი მომენტი შექმნა პორტუგალიამ, მათ შორის, ორი შეცვლაზე შესულმა ნანიმ, მაგრამ მეკარე ფარხად ველიევმა იყოჩაღა.

**სომხეთი 0:0 სერბეთი**

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ტადევოსიანი, არზუმანიანი, დოხოიანი, ოვსეპიანი, არაქელიანი, ქარამიანი, მელქონიანი (ზებელიანი 62), მხითარიანი (აკოპიანი 82), პაჩაჯიანი, ვოსკანიანი (ხაჩატრიანი 70)

მწვრთნელი: ვარდარ მინასიანი

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, დ. ტოშიჩი, ივანოვიჩი, რუკავინა, სტეპანოვი, კოვაჩევიჩი, კრასიჩი (იანკოვიჩი 73), კუზმანოვიჩი (ზ. ტოშიჩი 61), სტანკოვიჩი, პანტელიჩი (ლაზოვიჩი 62), ჟიგიჩი

მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

გაფრთხილება: ხეთარიანი, არაქელიანი, სტანკოვიჩი, რუკავინა, სტეპანოვი

მსაჯი: სტეფან იოჰანესონი (შვედეთი)

12 000 მაყურებელი

სომხებმა სერბეთი გაწბილებული გაისტუმრეს და ხავიერ კლემენტეს გუნდს ევროპის ჩემპიონატის რეზერვის მოპოვების ძალიან მცირე შანსი დაუტოვეს. სომხეთს კი უკვე ოთხი მატჩია, არ წაუგია.

სერბეთთან შეხვედრამდე ყაზახეთს და პოლონეთს მოუგეს, პორტუგალიას კი მხოლოდ ქულა გაატანეს.

ხავიერ კლემენტეს მოხსნაზე სექტემბერშივე საუბრობდნენ და ალბათ შესარჩევის დასრულების შემდეგ მას სინიშა მიხაილოვიჩი შეცვლის, ვინც „ინტერში" რობერტო მანჩინის თანაშემწედ მუშაობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ბელგია 0:0 ფინეთი**

**ბელგია:** სტიინენი, სიმონსი, კომპანი, ვან ბუიტენი, ლომბარტსი, ჟილე, გრეგუარი (ხონკე 67), არუნი (გოორი 67), მუდინგაი, დემბელე, მირალასი (სტერჩელე 84)

მწვრთნელი: რენე ვანდერეიკენი

**ფინეთი:** იაკელაინენი, პასანენი, ჰიიპია, კალიო, ტაინიო, რ. ერიომენკო, კოლკა, რიიჰილაჰტი, სიილუნდი (ნურმელა 90), ა. ერიომენკო, ჯ. იოჰანსონი (კუფი 90)

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

გაფრთხილება: ა. ერიომენკო, მირალასი

მსაჯი: კონსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

14 131 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:10 | 24 |
| პორტუგალია | 11 | 5 | 5 | 1 | 21:9 | 20 |
| ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11:6 | 20 |
| სერბეთი | 11 | 4 | 5 | 2 | 13:8 | 17 |
| ბელგია | 11 | 3 | 3 | 5 | 10:14 | 12 |
| სომხეთი | 9 | 2 | 3 | 1 | 4:8 | 9 |
| ყაზახეთი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:18 | 7 |
| აზერბაიჯანი | 9 | 1 | 2 | 6 | 4:19 | 5 |

# სასწაული მოლდოვა და საბერძნეთი თითქმის

**C ჯგუფი**

**მოლდოვა 1:1 თურქეთი**

1:0 ფრუნზა (11), 1:1 კარანი (63)

**მოლდოვა:** კალაჩია, ეპურიანუ, გოლოვაცენკო, სავინოვი, ბორდიანი, კომლეონოკი, კორნენკოვი, გაცკანი (ოლექსიკი 89), ჯოსანი, ზმეუ (ნამასკო 67), ფრუნზა (კალინკოვი 86)

მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი

**თურქეთი:** არიქანი (ვოლქანი 17), სერვეტი, გოხანი, მეჰმეთი, ემრე, სელჩუკი (უმით კარანი 46), ტოპუზი, თურანი, იბრაჰიმი, თუნჯაი, უნალი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

გაფრთხილება: გოხანი, ეპურიანუ

მსაჯი: მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

10 500 მაყურებელი

**მოლდოვის** მეკარე ნიკოლაი კალანჩიამ სასწაულები ჩაიდინა, თურქები კი გაწბილებულნი წავიდნენ კიშინიოვიდან, რადგან სამი ქულა უნდოდათ და კინაღამ უქულოდ დარჩნენ. ფათიჰ თერიმის გუნდს ამ ფრის შემდეგ ჯგუფში პირველობისთვის კი არა, მეორე ადგილისთვის ბრძოლაც გაუჭირდება. ოსმალოებს ბერძნებთან, ნორვეგიასთან და ბოსნიასთან მატჩები დარჩათ.

სტუმრებმა შეტევებით დაიწყეს — მეჰმეთ ტოპუზმა და სელჩუკმა ვერ დაუმიზნეს. სამაგიეროდ, მასპინძელმა ვიორელ ფრუნზამ კარგად დაუმიზნა და ნიკოლაე ჯოსანის ჩაწოდებული ბურთი თავით გაუტანა ჰაკან არიქანს. საპასუხოდ თავითვე სცადა გატანა გოხან ზანმა, მაგრამ ნიკოლაე კალანჩიამ ახლოდან დარტყმული აუღო. მოლდოვის მეკარემ ამის მერეც არაერთხელ იყოჩაღა, თუმც 63-ე წუთზე ველარ უშველა გუნდს, როცა უმით კარანმა შეაგდო.

შემდეგ იყო შტურმი მასპინძელთა კართან და ხან კალანჩია იგერიებდა, ხან თურქები ურტყამდნენ არაზუსტად.

**საბერძნეთი 3:2 ბოსნია**

1:0 ხარისტიასი (10), 1:1 ჰრგოვიჩი (54), 2:1 გეკასი (58), 3:1 ლიბეროპულოსი (73), 3:2 იბიშევიჩი (90)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, კირიაკოსი, პაცაცოღლუ, დელასი, ბასინასი, კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (იანაკოპულოსი 70), ხარისტიასი (ლიბეროპულოსი 69), გეკასი (ანცასი 81)

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

**ბოსნია:** გუსო, ბაჯიჩი, ბერბეროვიჩი, ნადარევიჩი, ჰრგოვიჩი, კრუნიჩი (იბიშევიჩი 46), მისიმოვიჩი (სალიჰოვიჩი 82), რახიმიჩი, ვლადავიჩი, ბლატნიაკი (მერზიჩი 62), მუსლიმოვიჩი

მწვრთნელი: ფუად მუზუროვიჩი

გაფრთხილება: რახიმიჩი, კაცურანისი, ნადარევიჩი

გაძევება: ჰრგოვიჩი (56)

მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

15 000 მაყურებელი

ბოსნიამ მიჯრით მესამე მატჩი წააგო და ჯგუფიდან გასვლის მიზერული შანსიც მოესპო. ელინელებმა კი მდევარ თურქებს, ვისაც ზეგ ესტუმრებიან, ოთხი ქულით გაუსწრეს.

„ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ევროპის ჩემპიონატისკენ, მაგრამ დამშვიდება არ ეგების — თქვა ოტო რეჰაგელმა — მიზანი საბოლოოდ მიღწეული არაა, ამიტომ ყურადღება არ უნდა გაგვეფანტოს".



გიორგიოს კაცურანისის და სოტირის კირიაკოსის (№25) საბერძნეთი მიზანს მიუახლოვდა

AFP

ბერძნებმა სამი ფორვარდით დაიწყეს თამაში, რასაც მწვრთნელი ძალიან იშვიათად აკეთებს ხოლმე და გაუმართლა კიდეც. ხრისტოს პაცაცოღლუს ჩაწოდებულ ბურთს ანგელოს ხარისტიასმა დაარტყა, ძელს მოხვდა, მეორე ცდაზე ხარისტიასს მცველმა არ გაატანინა, მესამეზე კი მაინც შეტენა ბურთი კარში.

ოცდამეთხე წუთზე გიორგიოს კარაგუნისმა დაარტყა შორიდან და მეკარე ადნან გუსოს გაწელვა დასჭირდა მოსაგერიებლად, ტაიმის მიწურულს კი სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ თეოფანის გეკასს ახლოდან გატანა მართებდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მირკო ჰრგოვიჩმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, ორ წუთში კი ბოსნიელთა მეგოლე გააძევეს, რადგან ანგელოს ბასინასს ეუხეშა.

კაცნაკლულ მეტოქეს ბერძნებმა უმალ გაუტანეს — ბასინასის პასით გეკასმა შეაგდო, ხოლო შეცვლაზე შესულმა ნიკოს ლიბეროპულოსმა მესამე მიაყოლა, რასაც ვედად იბიშევიჩმა თამაშის მიწურულს უპასუხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**უნგრეთი 2:0 მალტა**

1:0 ფეჩეხინი (34), 2:0 ტოშერი (78)

**უნგრეთი:** ფულოპი, ბალოგი, იუჰაში, შელეხი, ვასკო, გერა, ტოშერი, ვასი, ფუფაკი (ლეანდრო 88), ფეჩეხინი (პაიჩი 83), ფილკორი (ბუზაკი 75)

მწვრთნელი: პეტერ ვარჰიდი

**მალტა:** ჰაბერი, აზოპარდი, ბრიფა, დიმეში, საიდი, შიკლუნა, მალია, სამუტი (ნვოკო 66), მიფსუდი, შემბრი (მერი 83), ვუდსი (ბაჯადა 90)

მწვრთნელი: დუშან ფიტცელი

გაფრთხილება: ვუდსი, იუჰაში

მსაჯი: კარენ ნალბანდიანი (სომხეთი)

7 633 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 16:9 | 22 |
| თურქეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 22:9 | 18 |
| ნორვეგია | 9 | 5 | 2 | 2 | 20:8 | 17 |
| ბოსნია | 10 | 4 | 1 | 5 | 16:19 | 13 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10:17 | 12 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 3 | 6 | 6:17 | 6 |
| მალტა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:19 | 5 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## გერმანია ევროპის პირველი მერცხალია

**D ჯგუფი**

**ირლანდია 0:0 გერმანია**

**ირლანდია:** გივენი, კელი, ფინანი, დანი, კარსლი, კილბეინი (მერფი 90), ობრაიენი, რიდი, დოილი (ლონგი 70), კინი, კიოფი (მაკგიდი 80)
**მწვრთნელი:** სტივ სტონტონი
**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტესაკერი, მეცელდერი, იანსენი, ფრიცი, ფრინგსი, ტროხოვსკი (კასტრო 90), შვაინშტაიგერი (როლფესი 18), კურანი, გომესი (პოდოლსკი 64)
**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი
**გაფრთხილება:** კარსლი, დანი, ლემანი, ფრინგსი, ფრიდრიხი
**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
67 495 მაყურებელი

**ამ ფრით** გერმანია პირველი ნაკრები გახდა, რომელმაც შესარჩევი ჯგუფებიდან ევრო 2008-ზე გასვლა დაიბევა. ასენაადრევად საკვალიფიკაციოდან ფინალურ ეტაპზე გასვლა გერმანიის ნაკრებს არასოდეს გაუნაღდებია.

თუ მცირე სასწაული არ მოხდა, ამ ჯგუფში მეორე საგზურს ჩეხეთი მოიპოვებს, რადგან უახლოეს მდევარ ირლანდიას 5 ქულით უსწრებს და თამაშით ნაკლები აქვს.

ირლანდიას მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს და მასპინძლები თავიდანვე შეტევაში წავიდნენ, თუმცა ყველაზე მწვავე მომენტები მათ მეორე ტაიმში შექმნეს. განსაკუთრებით, ერთი ეპიზოდი უნდა გამოვარჩიოთ — რობი კინი იენს ლემანთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი თავზე ვერ გადაუგდო.

ამდენიმე მომენტი გერმანელებსაც ჰქონდათ, თუმცა ამ შეხვედრაში გოლს გასვლა არ ეწერა.

„ძალიან გვიხარია, რომ ევრო 2008-ის საგზური მოვიპოვეთ. ეს თავდაუზოგავი შრომის შედეგია და გუნდი ქებას იმსახურებს. ირლანდიასთან კარგად ვითამაშეთ და სასურველ შედეგს, ფრეს მივაღწიეთ. ყველაფერი მშვენივრად მიდის, მაგრამ ევროპის უძლიერესი ნაკრებების დონეზე ჯერ არ ვართ. კიდევ ბევრი უნდა ვიმუშავოთ, რათა ჩვენს რთულ მიზანს, ევროპის ჩემპიონატის მოგებას მივაღწიოთ“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა.

**კვიპროსი 3:1 უელსი**

0:1 კოლინზი (21), 1:1, 2:1 ოკასი (59, 68), 3:1 ხარალამბიდისი (79)
**კვიპროსი:** გეორგალიდისი, ელია (ხარალამბიდისი 63), ნიკოლაუ, ოკარიდესი, პარასკევასი, ალონეფტისი, გარპოცისი, მაკრიდისი, მიხაილი (ისუმისი 46), საციასი (მარანგოსი 71), ოკასი
**მწვრთნელი:** ანგელოს ანასტასიადისი
**უელსი:** კოენი, ნაიტანგა, კოლინზი (მორგანი 44), გაბიდონი, ბეილი, რიკეტსი (ისტერი 73), ს. დევისი, ლედლი, კ. რობინსონი, ბელამი, ისტვუდი (ერნშოუ 58)
**მწვრთნელი:** ჯონ ტოშაკი
**გაფრთხილება:** ისტვუდი, მარანგოსი, ისტერი, ალონეფტისი
**მსაჯი:** კარლო ბერტოლინი (შვეიცარია)
8 500 მაყურებელი

21-ე წუთზე გარეთ ბეილის ჩაწოდებულს ჯეიმს კოლინზის ზუსტი დარტყმა მოჰყვა და უელსი დაწინაურდა. თუმცა დაშავებული წამყვანი ფორვარდის მიხალის კონსტანტინუს გარეშე მყოფმა კვიპროსმა მაინც შეძლო ამ მატჩის მოგება.

მასპინძელთა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა იანის ოკასმა. შესვენებამდე მას გოლი გაუუქმეს, თამაშგარეში იყავიო. თუმცა მეორე ტაიმში ოკასმა მაინც მიაღწია თავისას და თან ორჯერ. საგოლე პასი მას ორჯერვე ეფსტასიოს ალონეფტისმა გაუკეთა.

წერტილი კოსტას ხარალამბიდისმა დასვა ალექსანდროს გარპოცისის პასით.

**ქოქი ქანდელაკი**



კევინ კურანის (№31) გერმანია ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

AFP

**სლოვაკეთი 7:0 სან მარინო**

1:0 ჰამსიკი (24), 2:0 შესტაკი (32), 3:0 საპარა (37), 4:0 შკრტელი (51), 5:0 ჰოლოშკო (54), 6:0 შესტაკი (57), 7:0 დიურიცა (76პ)
**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, შკრტელი, დიურიცა, კრაიჩიკი, შაბო, მ. ჩეხი, ჰამსიკი, კოზაკი, საპარა (პეშეკი 79), ჰოლოშკო (სებო 71), შესტაკი (ვაშჩაკი 60)
**მწვრთნელი:** იან კოციანი
**სან მარინო:** ფ. ვალენტინი, ალბანი, ანდრეინი, ბოლინი (ბენედეტინი 57), ბული (ბონიფაცი 68), დელა ვალე, კ. ვალენტინი, ვანუჩი, ვიტაიოლი, მ. მარანი (დე ლუიჯი 85), ფ. ნანი
**მწვრთნელი:** ჯამპაოლო მაცა
**გაფრთხილება:** ბოლინი, საპარა, მარანი
**მსაჯი:** ლუკ ვილმესი (ლუქსემბურგი)
2 576 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 9 | 7 | 2 | 0 | 31:4 | 23 |
| ჩეხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:4 | 20 |
| ირლანდია | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 15 |
| სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27:20 | 13 |
| კვიპროსი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:17 | 13 |
| უელსი | 9 | 3 | 1 | 5 | 14:16 | 10 |
| სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 1:50 | 0 |

## კუთხურიდან ჩაწოდებული ხუმრობა

**E ჯგუფი**

**ინგლისი 3:0 ესტონეთი**

1:0 რაიტ-ფილიპსი (11), 2:0 რუნი (32), 3:0 რანი (33ს.კ.)
**ინგლისი:** პ. რობინსონი, რიჩარდსი, ფერდინანდი (ლესკოტი 46), კემპბელი, ე. კოული (ფ. ნევილი 49), რაიტ-ფილიპსი, ჯერარდი, ბერი, ჯ. კოული, ოუენი (ლამპარდი 70), რუნი
**მწვრთნელი:** სტივ მაკლარენი
**ესტონეთი:** პოომი, სტეპანოვი, პიიროია, კრუგლოვი, იააგერი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე, რანი, კინკი (ვიიკმაე 62), სააგი
**მწვრთნელი:** ვიგო იენსენი
**გაფრთხილება:** რანი, ლინდპერე
**მსაჯი:** ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)
86 655 მაყურებელი

**ინგლისმა** ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო ერთნაირი ანგარიშით, ხოლო უეინ რუნიმ ბოლო სამ წელიწადში პირველად გაიტანა ნაკრების მაისურით. ეს იყო მისთვის მე-13 „ინგლისური“ გოლი.

ანდორასთან 3:0 გამარჯვების შემდეგ სტივ მაკლარენის გუნდმა სტუმრად ესტონეთთან, შინ ისრაელთან და რუსეთთან, ახლა კი ისევ ესტონეთთან ანგარიშები გაიმეორა.

წინა ორ მატჩში კარგად მოთამაშე მაიკლ ოუენი გუშინწინ ფორმაში ვერ იყო და მეორე ტაიმში ფრენკ ლამპარდმა შეცვალა. სამაგიეროდ, იყოჩაღა უეინ რუნიმ.

ისრაელთან და რუსეთთან ნათამაშები ნახევარდაცვა სტივ მაკლარენმა არ შეცვალა და ნაცადმა შემადგენლობამ პირველივე ტაიმში გააკეთა საქმე. შონ რაიტ-ფილიპსი მიკა რიჩარდსის პასის შემდეგ მცველებში გაძვრა და მარტ პოომს გაუტანა. მერე ჯო კოულის ჩაწოდებული ბურთი რუნიმ შეაგდო კარში, მესამე კი ესტონელმა რანმა თავით საკუთარ კარში საუცხოო გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ეშლი კოული დაშავდა. ზეგ რუსებთან მისი და ჯონ ტერის თამაში საეჭვოა.

„მეორე ტაიმში ჩემი გუნდის თამაში არ მომეწონა“ — თქვა სტივ მაკლარენმა, ხოლო სტუმართა დანიელმა მწვრთნელმა ვიგო იენსენმა იხუმრა: „კარგი იქნებოდა, ერთი გოლი მაინც გაგვეტანა, მაგრამ, სამაგიეროდ, კუთხურებში 6:3 მოვიგეთ“.

**ხორვატია 1:0 ისრაელი**

1:0 ედუარდო (52)
**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, კორლუკა, კრანჩარი (პრანჯიჩი 46), ლეკო, მოდრიჩი, სრნა, ედუარდო, ოლიჩი (რაკიტიჩი 81)
**მწვრთნელი:** სლავენ ბილიჩი
**ისრაელი:** დავიდოვიჩი, მეშუმარი, ანტები, ბენ ჰაიმი, გერშონი, ალბერმანი, ბარდა (ოჰაიონი 75), ბარუჩიანი (გოლანი 57), ბენაიუნი, კოენი, ბალილი (ტამუზი 67)
**მწვრთნელი:** დრორ კაშტანი
**გაფრთხილება:** ლეკო, ედუარდო, ბალილი, ბენ ჰაიმი, კოენი, ანტები
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
16 000 მაყურებელი

ისრაელი მაგრად იდგა დაცვაში, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა.

ხორვატები პირველი ტაიმის განმავლობაში ამაოდ ასკდებოდნენ მეტოქის საჯარიმოს. სტუმრები ისე გმირულად იცავდნენ კარს, რომ მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს და ივიცა ოლიჩს ნირ დავიდოვიჩმა აუღო.

მეორე ნახევარში ხორვატებმა ტემპს უმატეს და ედუარდო და სილვას შეეძლო გატანა, მაგრამ ათი მეტრიდან ტრიბუნას დაუმიზნა. „არსენალის“ ფორვარდმა მალე გაისწორა მიზანი და ვედრან ჩორლუკას ჩაწოდებული ბურთი შეაგდო დავიდოვიჩის კარში. ეს იყო მისი მე-13 გოლი მე-18 სანაკრებო მატჩში.

მერე ლუკა მოდრიჩს ჰქონდა მომენტი და სიზუსტე დააკლდა. სტუმართაგან იოსი ბენაიუნი გამოირჩეოდა და მისი დარტყმული მე-60 წუთზე პლეტიკოშამ მოიგერია.

„ეს ერთ-ერთი ურთულესი მატჩი გამოდგა მთელ შესარჩევში და მით უფრო სასიხარულოა, რომ სამი ქულა ავიღეთ“ — თქვა ედუარდომ, ხოლო ხორვატთა თავკაცმა სლავენ ბილიჩმა განაცხადა: „ევროპის ჩემპიონატის საგზური ჯერ განაღდებული არ გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ინგლისი ოთხშაბათს არ წააგებს და ჩვენს საქმეს გააკეთებს“.

**მაჟა ხუციშვილი**



სტივენ ჯერარდის ინგლისი წინ მიიწევს

AFP

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25:4 | 26 |
| ინგლისი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:2 | 23 |
| რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:4 | 18 |
| ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 | 17 |
| მაკედონია | 9 | 2 | 2 | 5 | 7:11 | 8 |
| ესტონეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 3:21 | 4 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 2:36 | 0 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## ის რაული!

### F ჯგუფი

**დანია 1:3 ესპანეთი**

0:1 ტამუდო (14), 0:2 რამოსი (40), 1:2 ტომასონი (87), 1:3 რიერა (89)

**დანია:** სორენსენი, პელვეგი, მ. ლაურსენი, უ. ლაურსენი, ნ. იენსენი (პერესი 79), ლ. ანდრეასენი (ბენდტნერი 46), დ. იენსენი, პოულსენი, რომედალი, გრონკიაერი (კალენბერგი 65), ტომასონი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი, რ. ალბიოლი, მარჩენა, კაპდევილა, ხოაკინი (რიერა 69), ინიესტა, ხავი, ალბელდა (პაბლო 64), ფაბრეგასი (ლუის გარსია 78), ტამუდო

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: დ. იენსენი, ბენდტნერი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

19 849 მაყურებელი

**მატჩის** მეორე დღეს ესპანური „მარკას" კორესპონდენტმა აღიარა, დანიასთან შეხვედრაში „ფურია როხას" ვუყურებდით და ბოლო მომენტამდე არ გვჯეროდა, თუ ეს ის ნაკრები იყო, ჩრდილოირლანდიასთან და შვედეთთან მოედანზე თვითმკვლელის სინდრომშეყრილი რომ გამოლასლასდაო. მიუხედავად იმისა, რომ დავიდ ვილიამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა, ხოლო რაული ლუის არაგონესმა კვლავ უნაკრებოდ დატოვა, „წითელმა რისხვამ" დანიის აოხრება და ევრო 2008-სთან მიახლოება შეძლო.

ეს „ის" რაული მოაშთო არაგონესმა, თორემ მოხუცს ამ სახელზე ალერგია როდი აქვს — აჰა, „ესპანიოლის" კაპიტანი ტამუდო, რომელმაც სკანდინაველებს პირველი გოლი გაუტანა. ბარსელონელმა სორენსენის კარი თავური დარტყმით დალაშქრა.

რეალელ რაულზე გადამტერებული მოხუციც ხომ მატჩის წინ მედიას ეანგლებოდა — რა გინდათ, რაულს მთხოვდით და, აი, ნაკრებში ტამუდო შევიყვანეო...

სამხრეთელთა მეორე გოლი კი მართლაც დიდებული იყო. ერთი წუთის და თოთხმეტი წამის განმავლობაში გაგრძელდა დანიელთა აგონია, ანუ ზედიზედ 28 ესპანური პასი, რომელიც ტამუდოს საგოლე გადაცემით და სერხიო რამოსის მოუგერიებელი დარტყმით დასრულდა.

შესვენების შემდეგ სტუმრებს ოდნავ „ჩაეძინათ", რითაც დანიელებმა ისარგებლეს და იკერ კასილიასსაც მათი გააფთრებული იერიშების უკუგდება მოუხდა. ოლონდ ტომასონის დარტყმის მოგერიება ვერც ესპანელთა ყოჩაღმა გოლკიპერმა შეძლო.

ადგილობრივი ფანობის ნიშნისმომგებ ყიჟინს, „წესით", კასტილიელთა დაბნეულობა უნდა გამოეწვია, მაგრამ პირიქით მოხდა, ესპანიოლელმა რიერამ 89-ე წუთზე ბოლო გოლი შეაგდო.

29 წელია, ესპანეთის ნაკრებში სამ ესპანიოლელს ერთად არ ეთამაშა, გუშინწინ კი მინდორზე ტამუდო, ალბერტ რეირა და ლუის გარსია გავიდნენ და „ფურია როხას" მოაგებინეს...



ესპანელები დანიის ძლევით ხარობენ

AFP

**ისლანდია 2:4 ლატვია**

1:0 გუდიონსენი (4), 1:1 კლავა (27), 1:2 ლაიზანსი (31), 1:3, 1:4 ვერპაკოვსკისი (37, 46), 2:4 გუდიონსენი (52)

**ისლანდია:** არასონი, კ. სიგურდსონი (ბიორნსონი 88), ინგიმარსონი, იონსონი, რ. სიგურდსონი, სტეინსონი (არნასონი 25), გუდიონსონი, გუნარსონი, ჰალფრედსონი, გუდიონსენი, ტორვალდსონი (მ. სიგურდსონი 65)

მწვრთნელი: ეიოლფურ სვერისონი

**ლატვია:** ვანინსი, ზირნისი, ივანოვსი, კლავა, გორკსი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, სოლონიცინსი, ვიშნიაკოვსი (ფოგაიევსი 90), კარლსონსი (რიმკუსი 59), ვერპაკოვსკისი (პახარსი 78)

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

გაფრთხილება: ვერპაკოვსკისი, კ. სიგურდსონი, გუნარსონი

მსაჯი: მაიკლ დინი (ინგლისი)

5 865 მაყურებელი

ლატვიის ნაკრებმა ისლანდიაში იქაურებს 19 წუთში 4 გოლი გაუტანა და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე აინაცვლა.

ერთი წლის წინ ალექსანდრ სტარკოვსის გუნდმა ვიკინგებს რიგაში 4:0 მოუგო, ამიტომაც ისლანდიელები შურისძიებით იყვნენ ანთებულნი. „ბარსელონას" ფორვარდმა ეიდურ გუდიონსენმა გოლი უკვე მე-4 წუთზე შეაგდო, თუმცა შემდეგ ოსკარს კლავამ ანგარიში გაათანაბრა, მარის ვერპაკოვსკისმა და იურის ლაიზანსმა კი ტაბლოზე 1:3 დააფიქსირეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ვერპაკოვსკისმა ვიკინგებს კიდევ ერთხელ ჩასცა ლახვარი და მასპინძელი გუნდი წელში გატეხა. მართალია, გუდიონსენმა ერთი გოლის გაქვითვა კვლავ შეძლო, მაგრამ... ისლანდიელებმა სტადიონი თავჩაქინდრულებმა დატოვეს.

**ლიხტენშტაინი 0:3 შვედეთი**

0:1 ლიუნგბერგი (19), 0:2 ვილჰელმსონი (29), 0:3 სვენსონი (56)

**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, ოური, ტელსერი, თ. ბეკი, ბუჩელი, ბუშელი, ბურგმაიერი (შტუბლე 59), დ. ფრიკი (ფიშერი 60), მ. ფრიკი (რ. ბეკი 74), როორერი

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ცაუგი

**შვედეთი:** ისაკსონი, მაისტოროვიჩი, ედმანი, კონჩა, ჰანსონი, ლინდეროტი (ანდერსონი 70), ლიუნგბერგი (კალსტრიომი 39), ა. სვენსონი, ვილჰელმსონი, ოლბოკი, ელმანდერი

მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი

გაფრთხილება: ტელსერი, ანდერსონი

მსაჯი: პაოლო დონდარინი (იტალია)

4 131 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 20:4 | 22 |
| ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 22 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| დანია | 9 | 4 | 2 | 3 | 14:8 | 14 |
| ლატვია | 9 | 3 | 0 | 6 | 9:11 | 9 |
| ისლანდია | 10 | 2 | 2 | 6 | 10:21 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 10 | 1 | 1 | 8 | 5:28 | 4 |

**ლადო ხომერიკი**

## ბელარუსი და ვირუსი

### G ჯგუფი

**ბელარუსი 0:1 ლუქსემბურგი**

0:1 ლევეკი (90)

**ბელარუსი:** ჟევნოვი (ხომუტოვსკი 69), სტასევიჩი (კალაჩევი 62), ფილიპენკო, ომელიანჩუკი, პლასკონი, ა. გლები, კორიტკო, რომაშჩენკო, სკვერნიუკი, კორნელენკო, ვორონკოვი (როდიონოვი 80)

მწვრთნელი: ბერნდ შტანგე

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, კინციგერი, ლანგი, პეტერსი, ვაგნერი, ბეტმერი, ლომბარდელი (ლევეკი 46), მუტში, პაიალი (კ. ფერეირა 79), რემი, კოტენჟი (და მოტა 61)

მწვრთნელი: გი ჰელერსი

გაფრთხილება: ლომბარდელი, პეტერსი, ლანგი, ლევეკი, ჟუბერი, და მოტა

მსაჯი: მიქაელ სვენდსენი (დანია)

14 000 მაყურებელი

**აღსრულდა!** 12 წელი და 56 მიჯრით წაგებული ოფიციალური მატჩი — ეს ლუქსემბურგის ნაკრების ვაი-რეკორდი გახლდათ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე. და, აი, საარაკო გამარჯვება ბელარუსის ნაკრებზე, თანაც ბელარუსშივე. ხოლო ვინ იყო ის გუნდი, ლუქსემბურგელებმა ნახსენები 12 წლის წინ რომ აართვეს ქულა? ისევ და ისევ ბელარუსი...

ისე, ამასწინანდელი ლუქსემბურგი — საქართველოს მერე ჩვენ ვის უნდა დავცინოთ, მაგრამ ლუქსემბურგი ბელარუსისთვის მეტისმეტად უხერხული მეტოქე ყოფილა...

და მაინც, რა გახდა პოსტსაბჭოელთა შერცხვენის მიზეზი? მათმა მწვრთნელმა ბერნდ შტანგემ, რაც ნაკრებს სათავეში ჩაუდგა, მკვეთრ ცვლილებებს მიჰყო ხელი და გუნდი გვარიანად გაახალგაზრდავა. ჰოდა, მიმომხილველები ამბობენ, ამგვარი ცვლილებების მერე გუნდი აბსოლუტურად შეუთამაშებელი აღმოჩნდა და აგერ შედეგიცო...

მასპინძლებმა, ცხადია, იერიშებით დაიწყეს, მაგრამ ლამის მთელი გუნდით დაცვაში ჩამჯდარ მეტოქეს ხეირიანი მომენტი ვერ შეუქმნეს. თავის მხრივ, ლუქსემბურგელები იშვიათად უტევდნენ, მაგრამ ყოველ შეტევას ლოგიკურად — კარში დარტყმით ასრულებდნენ.

და მეხუთე წამატებული წუთიც: ალფონს ლევეკმა მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოიგო და 8 მეტრიდან აულებელი გაისროლა!

**რუმინეთი 1:0 ჰოლანდია**

1:0 გოიანი (71)

**რუმინეთი:** ლობონტი, ოგარარუ, გოიანი, კოვუ, რაცი, ტამაში, კოდრია, ნიკოლიტა, პეტრე, მუტუ, მარიკა (ნიკულაე 70)

მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა

**ჰოლანდია:** შტეკელენბურგი, ჰეიტინგა (იალენსი 68), მატიისენი, ოიერი (კუვერმანსი 84), ბუმა, დე ზეუვი, ვან ბრონკჰორსტი, ზეედორფი, ვან დერ ვაარტი, რობენი (ბაბელი 78), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

გაფრთხილება: ვან ნისტელროი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ოგარარუ, ტამაში, მუტუ, კოდრია, ნიკოლიტა

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

13 000 მაყურებელი

დაირინ გოიანის გოლით რუმინეთმა ჯგუფის ფავორიტი დასცა და ცხრილსაც თავზე წამოასკუპდა. მომდევნო ტურში რუმინელები ლუქსემბურგს ხვდებიან. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველაფერი საუკეთესოდ მისდით.

ის ერთადერთი გოლი კი კრისტიან კივუმ მოამწიფა. ინტერელის ჩაწოდებულ ჯარიმას პაულ კოდრიამ თავური დასცხო, სტუმართა მეკარე მაარტენ შტეკელენბურგმა დარტყმა მოიგერია, მაგრამ გოიანის დამატებულს ველარაფერი მოუხერხა.

გოლამდე თამაში საკმაოდ ფრთხილი იყო, არც ერთ გუნდს გახსნა არ სურდა და ფონს გასვლას შორი დარტყმებით ლამობდნენ. პირველი ნაღდი მომენტი კი ვან დერ ვაარტის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, რომელიც ვილფრედ ბუმამ კარში დარტყმით დაასრულა და ბურთი ხარიხას გაეხახუნა. მერე ბოგდან ლობონტი ძლივს გაუმკლავდა რუუდ ვან ნისტელროის დარტყმულს.

რუმინული გოლის მერე კი ჰოლანდიელები შტურმზე წავიდნენ და ცოტა იღბალიც რომ წახმარებოდათ, არ წააგებდნენ. მასპინძელთა მეკარემ კლარენს ზეედორფის საჯარიმოთი დარტყმული ხელებში ვერ შეიმაგრა, ვან დერ ვაარტმა კი დამატებაზე ძელს გაარტყა.


ჟორის მატიისენის ჰოლანდიას რუმინეთმა ჩაურბინა

AFP

**სლოვენია 0:0 ალბანეთი**

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, ჟოკიჩი (ილიჩი 77), ბრეცკო, ციპოტი, მორეცი, ბირსა (მიჰელიჩი 82), კირმი, კორენი, ზლოგარი, ლავრიჩი, ნოვაკოვიჩი (რუსიჩი 61)

მწვრთნელი: მატიაჟ კეკი

**ალბანეთი:** ბექაი, კური, დედე, რუსტემი, ვანგელი, ბულკუ, დურო (ბუში 77), ჰაჯი (მუკა 60), ლალა, შკელა (მიკა 90), ბოგდანი

მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

გაფრთხილება: რუსიჩი, კური, კირმი, ბრეცკო

მსაჯი: დუარტე ნუნუ პერეირა (პორტუგალია)

4 625 მაყურებელი

სლოვენიას და ალბანეთს ჯგუფიდან გასვლის შანსი ხომ ისედაც დაკარგული ჰქონდათ და ვერც ჯიგრიანი თამაში უსახსოვრეს მაყურებელს. საგოლე მომენტები პრაქტიკულად არ ყოფილა, ოღონდ სტანდარტული სიტუაციების გათამაშებისას თუ იქმნებოდა რამე საინტერესო.

ყველაზე მოსარჩევი ეპიზოდი ალბანელი კლოდიან დუროს საგოლე მცდელობა გახლდათ, რომელიც კარიდან ექვს მეტრში იყო, მაგრამ ბურთს ფეხი ააცილა.

აი, ეს იყო და ეს.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:5 | 23 |
| ჰოლანდია | 9 | 6 | 2 | 1 | 11:3 | 20 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:6 | 18 |
| სლოვენია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:12 | 11 |
| ალბანეთი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:7 | 10 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:20 | 7 |
| ლუქსემბურგი | 10 | 1 | 0 | 9 | 2:20 | 3 |

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

I ტური

**არგენტინა 2:0 ჩილე**

1:0, 2:0 რიკელმე (27, 45)
არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, გ. მილიტო, დემიკელისი, ჰაინცე, მაქსი როდრიგესი (გაგო 68), მასკერანო, კამბიასო, რიკელმე, მესი (სავიოლა 84), ტევესი (აგერო 74)
მწვრთნელი: ალფიო ბასილე
ჩილე: ბრავო, კ. ალვარესი, რიფო, ფიერო (დროგეტი 37), რუბიო (სალასი 46), ვიდალი, მ. ფერნანდესი, იტურა (მალდონადო 63), მ. გონსალესი, უ. სუაზო, პონსე
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
გაფრთხილება: ფიერო, ვიდალი, მაქსი როდრიგესი, პონსე, რიფო, კ. ალვარესი, კ. ალვარესი, ბრავო
გაძევება: კ. ალვარესი (54)
მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)
60 000 მაყურებელი

**ურუგვაი 5:0 ბოლივია**

1:0 სუარესი (4), 2:0 ფორლანი (38), 3:0 აბრეუ (47), 4:0 სანჩესი (67), 5:0 ბუენო (83)
ურუგვაი: კარინი, გოდინი, ფუსილე, პაბლო გარსია, სკოტი, კ. როდრიგესი, ლ. სუარესი (რეკოერო 64), ფორლანი (ვ. სანჩესი 64), აბრეუ (ბუენო 72), დ. პერესი, მ. პერეირა
მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი
ბოლივია: გალარზა, სოლისი (კაბრერა 46), ამადორი, რ. გარსია, ლიმა, ხ. მორენო (ტახუა 58), ვაკა, ლ. ალვარესი, ოიოსი (ნ. სუარესი 74), რალდესი, მ. მორენო
მწვრთნელი: ერვინ სანჩესი
გაფრთხილება: რ. გარსია, რალდესი, რ. გარსია, ამადორი, პერეირა
გაძევება: რ. გარსია (41)
მსაჯი: რუბენ სელმანი (ჩილე)
50 000 მაყურებელი

**პერუ 0:0 პარაგვაი**

პერუ: ბუტრონი, ა. როდრიგესი, აკასიეტე, ვილკესი, გალიკიო (მესტრი 73), ხ. ვარგასი (ჩიროკე 84), სოლანო, კინტეროსი (ხაიო 86), პიზარო, ფარფანი, დე ლა აზა
მწვრთნელი: ხოსე დელ სოლარი
პარაგვაი: ვილიარი, მ. როდრიგესი, კანისა, ხ. კასერესი, კაბანიასი (აზუკარო 81), ე. ბარეტო (ბრიტესი 87), ვერა, და სილვა, ვ. კასერესი, რივეროსი, ნ. ვალდესი (ო. კარდოზო 67)
მწვრთნელი: ხერარდო მარტინო
გაფრთხილება: ვერა, ა. როდრიგესი, ვილიარი, მ. როდრიგესი
მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)
30 000 მაყურებელი

**ეკვადორი 0:1 ვენესუელა**

0:1 რეი (67)
ეკვადორი: ვიტერი, ურტადო, დე ლა კრუზი, ბაგი (კიროსი 75), ე. მენდესი, ე. ტენორიო, ლარა (ვ. აიოვი 46), კ. ბენიტესი, ს. კასტილიო, ვალენსია (ბორხა 70), ესპინოზა
მწვრთნელი: ლუის სუარესი
ვენესუელა: რ. ვეგა, ვალენილია, რეი, როუგა, მ. მეა ვიტალი (ვიელმა 79), ჩიკერო, ლ. ვერა, ჯ. მალდონადო, რ. პაესი (ე. გონსალესი 76), ხ. როხასი, ხ. არანგო (გუერა 64)
მწვრთნელი: რიჩარდ პაესი
გაფრთხილება: ურტადო, ჩიკერო, ტენორიო
მსაჯი: რენე ორტუბე (ბოლივია)
40 000 მაყურებელი

**კოლუმბია — ბრაზილია**

*ნუხელ გვიან დამთავრდა*

# ლოგიკაც და ალოგიკაც

## სამხრეთ ამერიკა სამხრეთ აფრიკისკენ დაიძრა

**არგენტინამ** 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპი ჩილესთან გამარჯვებით დაიწყო. ანდებისპირელთა ნაკრები „ესტადიო მონუმენტალზე" ხუან რომან რიკელმეს ორმა გოლმა დაასამარა. გატანა ლეო მესისაც შეეძლო, თუმცა მისი გასროლა კარის ძელმა აისხლიტა.

თავიდან არგენტინელებს გაუჭირდათ, რადგანაც პატაგონიელთა ყოფილ და ჩილელთა დღევანდელ თავკაც მარსელო ბიელსას „ალბისელესტეს" ძლიერი და სუსტი მხარეები ჯერ არ დავიწყებია. თუმცა პირველმა წუთებმა ჩაიარეს და მასპინძლებიც გამოცოცხლდნენ. მესის და გაბი მილიტოს შეტევათა შემდეგ ჩილეს მისადგომები გოლის ძლივს გადაურჩა. თუმცა „ალბისელესტეს" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი იმ დღეს რიკელმე იყო. „რომი" თავისი კლუბის, „ვილიარეალის" (სადაც, სხვათა შორის, ჩილელი მანუელ პელეგრინი მწვრთნელობს) განაცხადში ვერ ხვდება, მაგრამ არგენტინელთა დამრიგებელი ალფიო ბასილე მას ენდო და კარგადაც მოიქცა. ხუან რომანმა 26-ე და 45-ე წუთებზე ორი მსგავსი საჯარიმო დარტყმით „პირველი გამარჯვება მოუტანა გუნდს.

მეორე ტაიმში მესიმ გაიბრწყინა. „პულგამ" გოლის გატანა ვერ შეძლო, მაგრამ ჩილელ მცველთა სახიფათო იერიშებით გაბრუება მაინც მოახერხა. ხოლო მილიტომ შესანიშნავად ითამაშა უკანა ხაზზე. მილიტოს არგენტინაში ნაკრებიდან ახლახან წასული რობერტო აიალას მემკვიდრედ თვლიან.

ურუგვაის ნაკრებმა მონტევიდეოში ბოლივია გაანადგურა. თამაში 5:0 დასრულდა, თუმცა მასპინძლები, ასეთი მონდომებულები იყვნენ, ბოლივიელებს გაუმართლათ, „სენტენარიოზე" მთლად ასტრონომიული ანგარიშით რომ არ დამარცხდნენ.

პირველი გოლი ლუის სუარესმა უკვე მეოთხე წუთზე შეაგდო, თუმც იქამდე ურუგვაელს იქამდე ორჯერ შეეძლო გატანა.

პირველი ტაიმის მიწურულს დიეგო ფორლანმა მასიმილიანო პერეირას პასის მერე ბრწყინვალე გოლი გაიტანა. თამაშის მეორე ნახევარში კი ურუგვაელთაგან თავი აბრეუმ, ვისენტე სანჩესმა და კარლოს ბუენომ გამოიჩინეს.

მოკლედ, „სელესტემ" მონტევიდეოში თავისიანები ძალიან გაახარა, ერვინ სანჩესის ბოლივია კი პირველი ტურის შემდეგ შესარჩევის ცხრილში ბოლო ადგილზეა.

ვენესუელის ნაკრების მცველმა ხოსე მანუელ რეიმ ეკვადორელებთან მატჩის მეორე ტაიმში დაახლოებით 40 მეტრიდან ჯოჯოხეთური სიძლიერით დაარტყა და თავის ნაკრებს სენსაციური გამარჯვება მოუტანა.

კიტოს „ესტადიო ოლიმპიკოზე" მთელი მატჩის განმავლობაში ეკვადორელები ბატონობდნენ, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს და გამარჯვებაც რიჩარდ პაესის შეგირდებს დარჩათ.

პერუ — პარაგვაის ჯახში კი გოლი საერთოდ არ გასულა. იქ სტუმრები უფრო აქტიურობდნენ, თუმცა ფორვარდებს, სალვადორ კაბანიასს, ნელსონ ვალდესსა და ოსკარ კარდოსოს გადამწყვეტ ეპიზოდებში სიზუსტემ უმტყუნათ.

**ლადო ხომერიძე**



ხუან რომან რიკელმე

AFP

# დელ პიერო ინტერში?

**ცნობილი** საფეხბურთო აგენტი ანტონიო კალიენდო, რომელსაც კარიერის მანძილზე რობერტო ბაჯოსთან, დიეგო მარადონასთან და დავიდ ტრეზეგესთან უმუშავია, თვლის, რომ ალესანდრო დელ პიერო შეიძლება „ინტერში" გადავიდეს. როგორც ჩანს, მისი ინფორმაციით, „ნეროაძური" ტურინის „იუვენტუსის" კაპიტნის დამატებაზე ფიქრობს.



„ცოტა ხნის წინ „მილანმა" გამოთქვა დელ პიეროს დამატების სურვილი. ეს არც გამკვირვებია, „როსონერის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ალექსს დიდ პატივს სცემს. არ გამოვრიცხავ დელ პიეროს „ინტერში" გადასვლასაც. როგორც ვიცი, მისით „ნეროაძურიც" არის დაინტერესებული. თუ „იუვენტუსს" ალექსის შენარჩუნება უნდა, კონკრეტული ნაბიჯი უნდა გადადგას წინ, დელ პიეროს კი არანაირი პრობლემა არ აქვს. იგი ჩემპიონია, რომელმაც, ფაქტობრივად, მთელი კარიერა „იუვეს" მიუძღვნა" — თქვა კალიენდომ.

მოგეხსენებათ, დელ პიერო, რომელიც 9 ნოემბერს 33 წლის ხდება, დიდი ხანია, „იუვენტუსთან" ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებას აწარმოებს. მხარეები ხელფასზე ვერ თანხმდებიან და თუ საერთო ენა ვერ გამონახეს, ივნისში „პინტურიკიო" თავისუფალი აგენტი გახდება.

„ინტერისა" და „მილანის" გარდა, ბოლო პერიოდში დელ პიერო „შახტარს", „ბრეშასა" და „ქუინზ პარკს" დაუკავშირეს. ახლა კი საქმეში „პალერმოც" ჩაერთო, კერძოდ, მისი პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი.

„შანსი რომ მომეცეს, დელ პიეროს ხვალ დილითვე მოვიყვანდი გუნდში. მე მისი ხელფასის გადახდა არ შემიძლია, მაგრამ თუ გამოჩნდება ვინმე სპონსორი, ჩვენი კარი ღიაა. ასეთი მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები რომ შეინახო, „ბაიერნი", „ბარსელონა" ან „რეალი" უნდა იყო. იტალიაში კი ამის საშუალება მხოლოდ სამ გუნდს აქვს. სწორედ ამ მიზეზის გამო მოგვიხდა ლუკა ტონისთან განშორება" — აღნიშნა ძამპარინიმ.

**ქოქი ქანდელაკი**

# იუვენტუსს მეორე ტრეზეგე უნდა

**ტურინის** „იუვენტუსს" თვალი საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის" ახალგაზრდა ვარსკვლავ ქარიმ ბენზემასთვის დაუდგამს. თუმცა „ბებერ ქალბატონს" მის ხელში ჩასაგდებად გვარიანი ბრძოლა მოუწევს, რადგან მხოლოდ იტალიური კლუბებიდან ამ ფეხბურთელით „ინტერი", „მილანი" და „ფიორენტინა" არიან დაინტერესებულნი.

გავრცელებული ცნობით, „ლიონი" 19 წლის ნიჭიერი თავდამსხმელს 35 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელევა.

„ბენზემა ექსტრაორდინალური ფეხბურთელია. სტაბილურია, სულ გოლები გააქვს და ჩემს თავს მაგონებს, როცა ახალგაზრდა ვიყავი. მას რონალდოს ძალა და რონალდინიოს სისწრაფე აქვს" — თქვა „იუვენტუსის" ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ.

შეგახსენებთ, რომ „იუვე" „ლიონის" კიდევ ერთი ფეხბურთელით, ფრენსის კლერკითაა დაინტერესებული. როგორც ჩანს, „ბიანკონერი" ჯიუტად ცდილობს, ტიაგუ მენდეში ფრანგულ კლუბს უკან მიუბრუნოს, თუმცა „ლომების" ცბიერი პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა მხოლოდ ფულს ითხოვს და არა გაცვლას.

„ბენზემას გაყიდვა არ გვინდა. მით უმეტეს, მისი ტიაგუში გაცვლა და საერთოდ, თუ „იუვენტუსს" ჩვენი რომელიმე ფეხბურთელის შეძენა სურს, ფული უნდა გადაიხადოს" — განაცხადა ოლამ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. IV ტური

I ჯგუფი

იტალია 2:0 ხორვატია
ფარერები 0:0 აზერბაიჯანი

II ჯგუფი

ლიხტენშტაინი 0:4 ჩეხეთი
თურქეთი 2:0 უკრაინა

III ჯგუფი

ბულგარეთი 1:0 პორტუგალია
ინგლისი 1:0 ჩერნოგორია

IV ჯგუფი

რუსეთი 4:0 ყაზახეთი
პოლონეთი 0:2 ესპანეთი

V ჯგუფი

ნორვეგია 2:1 შვეიცარია
ესტონეთი 0:3 ჰოლანდია

VI ჯგუფი

შოტლანდია 3:0 ლიტვა
ფინეთი 1:0 სლოვენია

VII ჯგუფი

ავსტრია 2:1 კვიპროსი
ბელგია 4:2 სლოვაკეთი

VIII ჯგუფი

სერბეთი 3:0 სან მარინო

IX ჯგუფი

ისრაელი 2:2 გერმანია
ლუქსემბურგი 0:2 მოლდოვა

X ჯგუფი

საფრანგეთი 4:0 ბოსნია


ელზა და ჟოზე


მატილდა და ჟოზე

# ზეზინიო და ელზა

## სად მალავდა მაუ მეორე სიყვარულს

**ჟუმბარასავით** გასკდა: თურმე ჟოზე მაურინიუ მთელი ორი წლის განმავლობაში ცოლს ღალატობდა. ვისთან? ვისთან და მავან ელზა სოუზასთან, რომელსაც პრინცესას და თავის ნამდვილ სიყვარულს ეძახდა, ოღონდ, ძალიან უცნაურია, რომ ეს მთლად ახალი ამბავი არ არის, უბრალოდ, ახლა გაირკვა და ვნებათაღელვა ახლა გამოიწვია.

მაუ 44 წლისაა, მადამ სოუზა კი მასზე ათი წლით უმცროსი ყოფილა და, აი, კიდევ რას გეტყვით: თურმე, თავის დროზე, როდესაც მაუ „პორტუში“ მუშაობდა, ქალბატონი სოუზა იმდენად ხშირად დაჰყავდა აქეთ-იქით, რომ ფეხბურთელებს ის ნამდვილი დონია მაურინიუ ეგონათ.

ალბათ იოლად მიხვდით, რომ ამ ამბებს ინგლისურ პრესაზე, მეტწილად გაზეთ „სანზე“ დაყრდნობით გაწვდით, თუმცა თავს მოვალედ მივიჩნევთ, ისიც მოგახსენოთ, რომ ინგლისური პუბლიკაციებიდან მთელი რიგი პასაჟების გამოტოვება გვიხდება. აი, მაგალითად, როგორც თქვენთვის ცნობილია, მაურინიუს მეტსახელია „განსაკუთრებული“, რაც, როგორც აქამდე ვიცოდით, მის საფეხბურთო ნიჭთან და საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, ახლა კი ვიგებთ, რომ ეს სახელი მისთვის ჭარბი სექსუალური შესაძლებლობების გამო შეურქმევიათ. დავიჯეროთ, თუ ყვითელი პრესის ონავრობად მივიჩნიოთ? ამის გადაწყვეტა თქვენთვის მოგვინდვია, ისევე, როგორც იმის, რომ „ჩელსიდან“ გაგდებული მწვრთნელი და მისი სატრფო სტინგის მუსიკის ფონზე თურმე საათობით განმარტოვდებოდნენ ხოლმე. „სანს“ მოჰყავს ელზა სოუზას მავანი მეგობრის ციტატები, სადაც ეს მეგობარი ჰყვება, რომ მაუ ყველა საქმეში ისეთივე გამომგონებელია, როგორც ფეხბურთში.

მაგრამ, მოდი, კალამი მოვთოკოთ, რათა მთლად უხამსობისკენ არ გაგვექცეს და ისა ვთქვათ, რომ მაუს სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ მისმა კანონიერმა მეუღლემ მატილდამ, რომელთანაც პორტუგალიელმა ოჯახი 1989 წელს შექმნა, არაფერი იცოდა.

მწვრთნელს ელზა სოუზა ჯერ კიდევ 2001 წელს გაუცვნია, როდესაც პორტუგალიის პატარა ქალაქ ლეირიაში მუშაობდა. შემდეგ ჟოზე „პორტუში“ გადავიდა და ელზაც უკან გაჰყვა. პირველი რვა თვის განმავლობაში წყვილი „პორტუს“ მიერ დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფეხბურთელებსა და კლუბის პერსონალს კარგა ხნის განმავლობაში მწვრთნელის საყვარელი მისი ნამდვილი მეუღლე ეგონათ, რაც, როგორც ირკვევა, იმის ბრალი ყოფილა, რომ ჟოზემ თავად ასე გააცნო მათ ელზა სოუზა. და სად იყო ამ ხნის განმავლობაში ნამდვილი დონია მაურინიუ? სად და, მშობლიურ სეტუბალში შვილებს, პატარა მატილდასა და ჟოზე-უმცროსს ზრდიდა.

ცნობისთვის: პატარა მატილდა დღეს 11 წლისაა, ჟოზე-უმცროსი კი შვიდის.

აქ აღარ დავწვრილმანდებით და აღარ მოვიტანთ იმის მრავალრიცხოვან დამამტკიცებელ საბუთებს, რომ მაუ ელზას ლეირიასა და პორტუში გვერდიდან არ იშორებდა, მის არც სახალხოდ კოცნას თაკილობდა და ერთხელ მონაკოშიც კი წაიყვანა.

ასე, ნელ-ნელა, ელზა სოუზა სტადიონზე სიარულსაც შეეჩვია და თავისი თვალით ნახა, როგორ გაიყვანა საკმაოდ საშუალო და არაფრისმთქმელი „ლეირია“ ფეხბურთში ნამდვილად ძალიან ნიჭიერმა ჟოზემ პორტუგალიის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე.

და „პორტუში“? ელზა სოუზა იქაც ტრიბუნაზე იჯდა, თან ვის გვერდით იცით? კლუბის პრეზიდენტის, პინტუ და კოშტას საქვეყნოდ ცნობილი და ძველისძველი საყვარლის კაროლინა სალგადოს გვერდით. სხვათა შორის, ბინის დაქირავებამდე მაურინიუ და ელზა თურმე ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ტივოლიში“ ცხოვრობდნენ და აქაც უამრავი ხალხი ხედავდა მათ ქუჩაში კოცნა-კოცნით მოარულთ.

სხვათა შორის, „განსაკუთრებულისა“ და ელზა სოუზას სიყვარულის უნებლიე მოწმეები შეთქმულებივით ერთსა და იმავეს იმეორებენ: ისინი გაუჩერებლივ ბავშვებივით ქლურტულებდნენ. ერთმა იმასაც კი მოჰკრა ყური, რომ ელზა ჟოზეს ზეზინიოს და „ჩემს ბიჭუნას“ ეძახდა.

მაგრამ, აი, დადგა 2002 წელი და მატილდა მაურინიუმ, რომელსაც შინაურობაში ტამის ეძახიან, პორტუში გადასახლება მოიწადინა. დონია მაუს მოტივი ასეთი ჰქონდა: ბავშვებს მამა სჭირდებათ.

და რაღა დარჩენოდა ასეთ რთულ დღეში ჩავარდნილ ჟოზეს თუ არა ის, რომ ელზასთვის სხვა სახლი ეშოვნა, თავად კი ცოლშვილს შეერთებოდა.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში წაიყვანა „ჩელსის“ მომავალმა თავკაცმა მადამ სოუზა მონაკოში, მაგრამ... ელზა სოუზას, ჟოზეს „განსაკუთრებულობისა“ და განსაკუთრებული მონდომების მიუხედავად, მეორეობა აღარ აკმაყოფილებდა.

ამგვარად, რამდენიმე წლის წინ ნაკლებად, იმჟამად კი უკვე ცნობილ კაცს წაყოლილი ქალი ლეირიაში დაბრუნდა, სადაც ყველამ იცოდა, რომ ის ჟოზე მაურინიუს ყოფილი საყვარელი იყო. ის, ბუნებრივია, განიცდიდა, მაუ კი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა — „ჩელსიში“ გადავიდა. და ელზამ, ქალური შურისძიება ჩაიფიქრა, ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა...

და მატილდა?

მატილდამ ამხელა ამბავი ორი დღის წინ „სანისგან“ შეიტყო და, შესაბამისად, ჟოზეს ოჯახში მეტად მძიმე საუბარი ელის. მდგომარეობას, ბუნებრივია, ისიც ამძიმებს, რომ მაურინიუს აქამდე დიდი მეოჯახის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ანუ შოკი, რომელიც მისმა აღმოჩენილმა რომანმა გამოიწვია, უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა.

**ბაჩუნა ქედია**


ელზა





# მამუშავეთ!

**მარჩელო ლიპის** მწვრთნელობა მონატრებია და მუშაობის განახლებას აპირებს. მან ისიც თქვა, იტალიის ნაკრებში დაბრუნებას არ გამოვრიცხავო, რამაც კიდევ ერთხელ შეარყია „სკუადრა აძურას" ახლანდელი თავკაცის რობერტო დონადონის ისედაც წყალშემდგარი სკამი.

„არც ერთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ, რადგან დიდი ხანია, ვისწავლე, რომ არასოდეს არ უნდა თქვა არასოდეს. თუმცა, იმედია, იტალიის ნაკრების საქმე კარგად წავა, როგორც შესარჩევ ჯგუფში, ასევე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე" — აღნიშნა ლიპიმ.

სიგარის მოყვარულ სპეციალისტს, რომელიც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მერე ისვენებს, ბევრ კლუბს უკავშირებენ, მათ შორის, ლონდონის „ჩელსისაც".

„მუშაობისთვის მზად ვარ, ეს ძალიან მინდა და მნიშვნელობა არა აქვს, ეს იტალიაში მოხდება თუ მის ფარგლებს გარეთ. თუ სერიოზული კლუბი, სერიოზული შემადგენლობითა და პროექტით წინადადებას შემომთავაზებს, სიამოვნებით დავთანხმდები" — დასძინა ლიპიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

## ბრაზილია

**სერია A**
**XXXI ტური**

კრუზეირო — ნაუტიკო 2:2; ფიგეირენსე — ატლ. პარანენსე 0:0; სპორტ რესიფე — ფიგეირენსე 0:0; კორინთიანსი — ინტერნასიონალი 1:1; ფლუმინენსე — სან პაულუ 1:1; პარანა — ფლამენგო 0:1; ამერიკა — ატლ. მინეირო 0:1; გრემიო — გოიასი 2:1; სანტოსი — პალმეირასი 1:1. ვასკუ და გამა — ბოტაფოგო (იხ. მე-2 გვერდზე)

## მექსიკა

**აპერტურა**
**XII ტური**

მონტერეი — ტოლუკა 1:1; ტეკოსი — სანტოსი 3:1; ხაგუარესი — სან ლუისი 2:2; გვადალახარა — ნეკაქსა 5:1; მორელია — ატლასი 0:2; ატლანტე — პაჩუკა 1:2. პუებლა — კრუზ აზული, უნამი — ტიგრესი და ამერიკა — ვერაკრუსი (იხ. მე-2 გვერდზე)

## აშშ

**მეიჯორ ლიგა**
**XXIX ტური**

დალასი — ჩივასი 0:0; ვაშინგტონი — ჩიკაგო 0:0; ნიუ ინგლენდი — კოლუმბუსი 2:3; ნიუ იორკი — კანზასი 2:1; ლოს ანჯელესი — ტორონტო 2:1. ჩივასი — კოლორადო (იხ. მე-2 გვერდზე)

## არგენტინა

**აპერტურა**
**გადადებული მატჩი**

**ხიმნასია 2:0 კოლონი**

## ამხანაგური მატჩები

შვეიცარია — ავსტრია 3:1; სალვადორი — კოსტა რიკა 2:2; შვედეთი (U-21) — ირლანდია (U-21) 2:3

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

**საკვალიფიკაციო წრე**

**უზბეკეთი 9:0 ტაივანი**
**კამბოჯა 0:1 თურქმენეთი**

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი**
**XII ტური**

კამბური — იგლსი 0:2; ემენი — ჰელმონდი 2:1; დორდრეხტი — ალმერე 3:3; ეინდჰოვენი — ვოლენდამი — დენ ბოსხი 4:1; ზვოლე — აპელდორნი 5:0; ჰაარლემი — სიტარდი 1:2; მაასტრიხტი — ტელსტარი 2:1; როზენდალი — ვენდამი 4:1; ოსი — დენ ჰააგი 1:3

## ნორვეგია

**პირველი დივიზიონი**
**XXVII ტური**

ბოდიო გლიმტი — ლოვ ჰამი 3:1; ჰამკამი — სპარტა 2:0; ჰაუგესუნდი — ბრინი 2:2; კონგსვინგერი — სოგნდალი 2:4; ნოტოდენი — მოლდე 2:0; ტრიომსდალენი — რაუფოსი 1:1; სკეიდი — მოსი 2:2

## შვედეთი

**სუპერეტა**
**XXVIII ტური**

სუნდსვალი — იორგრიტე 2:0; ატვიდაბერგი — ოსტერსი 2:0; დეგერფორსი — ლანდსკრონა 3:1; ენშიოპინგი — სილვია 1:1; ლიუნგსკილე — ფალკენბერგი 1:1; მიალბი — ჰაკენი 0:2; სირიუსი — ბანკერილო 0:3. იონკოპინგი — სუნდსვალი დღეს გაიმართება

## პოლონეთი

**ლიგის თასი.**
**A ჯგუფი. II ტური**

**რუხი 2:0 გროცლინი**
**ლოძი 0:1 ლეგია**

## ირლანდია

**პრემიერლიგა**
**XXIX ტური**

ბოჰემიანსი — გალვეი 2:0; ბრეი — კორკი 1:1; დერი — დუბლინი 0:0; შემროკი — დროჰედა 0:2; სლიგო — სენტ პატრიკსი 2:3. ბრეი — დერი და ლონგფორდი — უოტერფორდი დღეს გაიმართება

## იტალია

**სერია B**
**IX ტური**

ალბინოლეფე — პიზა 2:3; ასკოლი — კოვერ 1:2; ფროზინონე — ბარი 4:1; გროსეტო — მესინა 0:0; ლეჩე — სპეცია 2:2; მოდენა — ჩეზენა 1:1; პიაჩენცა — ბოლონია 0:1; რავენა — ტრიესტინა 2:2; რიმინი — აველინო 2:2; ტრევიზო — ვიჩენცა 1:3. ბრეშა — მანტოვა 23 ოქტომბერს გაიმართება

**სერია C1/A**
**VIII ტური**

პრო სესტო — მანფრედონია 2:1; პავეზე — სასუოლო 1:0; კრემონეზე — ჩიტადელა 0:0; ფოჯა — პაგანეზე 1:0; ფოლინო — მონცა 2:0; ნოვარა — ლეჩიანო 1:0; პადოვა — ლეკო 1:0; პრო პატრია — ვენეცია 0:1; ვერონა — ტერნანა 1:0

**სერია C1/B**
**VIII ტური**

ლანჩანო — იუვე სტაბია 1:1; ლუკეზე — გალიპოლი 1:1; მარტინა — ტარანტო 0:1; მასეზე — კროტონე 0:0; პესკარა — არეცო 2:0; პისტოიეზე — სალერნიტანა 0:0; სამბენედეტეზე — პერუჯა 0:1; სანჯოვანეზე — პოტენცა 1:0; სორენტო — ანკონა 0:1

## ბელგია

**მეორე კლასი**
**IX ტური**

ბეველო — ლომელი 1:3; ნამური — ეუპენი 3:3; სენტ ტრონი — ტუბიზე 2:0; ვიგორი — ტინენი 3:0; იუდ ვესტერლე — კორტრაიკი 4:0; ვაასლანდი — ოსტენდე 4:0; ლიერსი — ტურნჰა 3:0; დაინცე — ბევერენი 1:1; ვირტონი — შარლერუა 3:0

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი**
**VIII ტური**

ალბასეტე — ხელტა 1:1; ალავესი — ერკულესი 2:1; ნუმანსია — სოსიედადი 2:1; პოლი ეხიდო — კადისი 1:0; ლას პალმასი — სევილია B 0:1; კასტელიონი — ტენერიფე 1:1; კორდობა — სალამანკა 1:1; ეიბარი — გრანადა 2:0; სპორტინგი — ფეროლი 0:0; ხერესი — ხიმნასტიკი 2:2. ელჩე — მალაგა (იხ. მე-2 გვერდზე)

## ინგლისი

**პირველი ლიგა**
**XI ტური**

ჰარტლპული — როჩდეილი 1:0; ტრანმერი — უოლსოლი 0:0; ჯილინგემი — მილუოლი 1:1; ჩელტენემი — ნოტინგემი 0:3; პორტ ვეილი — ბრაიტონი 0:1; საუთენდი — ქრიუ 3:0; იოვილი — კარლაილი 2:1; ლიდსი — ლეიტონი 1:1; ბორნმუთი — სუონსი 1:4; დონკასტერი — ჰადერსფილდი 2:0. ლუთონი — ნორთჰემპტონი დღეს გაიმართება, ოლდემი — სუინდონი გადაიდო

**მეორე ლიგა**
**XI ტური**

ბრენტფორდი — როტერჰემი 1:1; ჩესტერი — ჰერეფორდი 1:1; გრიმსბი — როჩდეილი 1:2; მორეკემბი — ბრედფორდი 2:1; მაკლსფილდი — რექსემი 3:2; ნოტსი — ბერი 1:3; ბარნეტი — მენსფილდი 1:1; შრიუსბერი — ჩესტერფილდი 2:3; დაგენემი — აკრინგტონი 1:3; დონსი — ლინკოლნი 4:0; დარლინგტონი — სტოკპორტი 4:0; პიტერბორო — უიკომბი 2:1

**კონფერენსლიგა**
**XVI ტური**

ოქსფორდი — ტორკი 3:3; რაშდენი — ფორესტ გრინი 1:2; ვეიმუთი — ქროული 1:2; გრეივსენდი — დროილსდენი 2:0; სალისბერი — ალტრინჩემი 3:3; უოქინგი — იორკი 0:3; ბარტოლი — ალდერშოტი 2:0; სტაფორდი — კემბრიჯი 1:1; ნორსვიჩი — ექსეტერი 0:0; ტორკი — სტივენიჯი 4:2; ფერსლი — ოქსფორდი 0:1; ჰისტონი — კიდერმინსტერი 2:1

## დანია

**პირველი დივიზიონი**
**XI ტური**

ფკ ორჰუსი — სილკებორგი 1:3; ჰელერუპი — ოლსტიკე 1:2; აკადემისკი — ჰვიდოვრე 3:2; ფრედერისია — ვაილე 2:1; ჰერფოლგე — სკივე 2:0; კოლდინგი — ნესტვედი 5:1; ნიკობინგი — კოგე 0:0; სონდერისკე — ფრემი 3:1

## შოტლანდია

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**მონტროუზი 0:0 ელგინი**


# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა, 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 2 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 18:00 | 3 | უიგანი-პორტსმუთი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 4 | არსენალი-ბოლტონი | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 18:00 | 8 | ბლექბერნი-რედინგი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 18:00 | 9 | ევერტონი-ლივერპული | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 18:00 | 10 | ფულემი-დერბი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 18:00 | 11 | სიტი-ბირმინგემი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 18:00 | 13 | მიდლსბრო-ჩელსი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | ინგლისი. I ლიგა, 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 693 | ლეიტონი-ნორთჰემპტონი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | საბერძნეთი, 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 256 | ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 20:00 | 258 | აეკ-ლარისა | 1.20 | 5.70 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.63 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 251 | ლევადეიაკოსი-ქსანთი | 2.80 | 2.90 | 2.40 | 1.42 | 1.29 | 1.31 |
| 20:00 | 252 | არისი-პაოკ | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 20:00 | 253 | კალამარია-ერგოტელისი | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| 22:15 | 254 | ვერია-პანათინაიკოსი | 7.50 | 3.70 | 1.40 | 2.47 | 1.17 | 1.01 |
| 22:15 | 255 | ატრომიტოსი-ირაკლისი | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 18:00 | 260 | ოფი-ასტერას ტრიპოლისი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა, 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 346 | იონკოპინგი-სუნდსვალი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | ირლანდია, 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 364 | ლონგფორდი-უოტერფორდი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | ჰოკეი. შვედეთი, 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 494 | ლინჩოპინგი-თერგორდენი | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| 21:00 | 495 | ლულეო-მორა | 1.65 | 4.20 | 2.95 | 1.18 | 1.05 | 1.73 |
| 21:00 | 496 | ფრიოლუნდა-ფეროესტადი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| | | ჰოკეი. რუსეთი, 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 580 | ს.იულაევი-მაგნიტოგორსკი | 1.65 | 4.50 | 2.85 | 1.20 | 1.04 | 1.74 |
| 15:00 | 581 | ლადა-ტრაქტორი | 1.70 | 4.20 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.71 |
| 19:00 | 582 | ცსკა-დინამო | 2.00 | 4.30 | 2.10 | 1.36 | 1.02 | 1.41 |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 583 | ლოკომოტივი-ავანგარდი | 1.65 | 4.50 | 2.50 | 1.20 | 1.00 | 1.60 |
| 19:00 | 584 | სევერსტალი-სპარტაკი | 1.35 | 4.50 | 4.00 | 1.03 | 1.00 | 2.11 |
| 19:00 | 585 | აკ-ამური | 1.12 | 5.30 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 2.91 |
| 19:00 | 586 | ტორპედო-მვდ | 2.00 | 4.20 | 2.10 | 1.35 | 1.02 | 1.39 |
| 19:00 | 587 | აკ ბარსი-სიბირი | 1.25 | 4.80 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.44 |
| 19:00 | 588 | ნეფტეხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.40 | 4.50 | 3.50 | 1.06 | 1.00 | 1.96 |
| 19:00 | 589 | ხიმიკი-ვიტიაზი | 1.30 | 4.40 | 4.20 | 1.00 | 1.00 | 2.14 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



ბაჩუკი ძიძიგურის ფოტო

# როგი და სოკი: გაუქმელით ზეწოლას!

**რაც** 9 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) აღმასკომის რამდენიმე წევრმა და სპორტული ფედერაციების თავკაცებმა კრებაზე სეოკ-ის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვეს და შესაბამისი დადგენილებაც მიიღეს, ვნებები კი არ ცხრება, უფრო ღვივდება.

გუშინ სეოკ-ში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან (სოკ-ი) ფაქსი მივიდა. სოკ-ის სათავო ოფისიდან სეოკ-ს და მის უფლებამოსილებაშეჩერებულ პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს მისსავე წერილზე პასუხობენ.

შევახსენებთ, რომ სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და იურიდიულმა კომიტეტმა, სხდომის დადგენილება რეგლამენტისა და დებულების დარღვევის გამო არალეგიტიმურად ცნეს და შესაბამისი შინაარსის წერილი ლოზანაში აფრინეს. იმავე დღეს ჭიდაობის ფედერაციაში, რომლის პრეზიდენტი ნაციონალი პარლამენტარი კახა გეწაძეა, თითქმის ყველა სპორტული ფედერაციის თავკაცები შეიკრიბნენ, აქვე ვთქვათ, რომ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა თითქმის ყველა ფედერაციას სახელისუფლებო ჩინოვნიკები ან მმართველი პარტიის სახეები თავკაცობენ. ამ შეკრებაზე დაიწერა წერილი, რომლის პათოსი პოლიტიკური იყო და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გაეგზავნა, რათა სოკ-ს რეაგირება მოეხდინაფედერაციების გადაწყვეტილებაზე და პატარკაციშვილისთვის მათ მიერ შეჩერებული უფლებამოსილება ლეგიტიმურად ეცნო.

ლოზანადან წერილი მალევე მოვიდა, ოღონდ პასუხი და მხარდაჭერის ფაქსი ბადრი პატარკაციშვილს და მის მომხრეებს მიუვიდათ. აი ამონაწერი სოკ-ის პრეზიდენტის ჟაკ როგის კაბინეტის ხელმძღვანელის კრისტოფ დე კეპერის წერილიდან: „გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მკაცრად მოითხოვს აუცილებელ შესაბამისობას ოლიმპიური ქარტიის პრინციპებთან და თქვენი კომიტეტის წესდებასთან, რომელიც 2001 წლის 13 ივნისს დაამტკიცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და მხარს უჭერს ამ წესდებით განსაზღვრული ლეგიტიმურობის დაცვას თქვენს ქვეყანაში მოქმედი ოლიმპიური მოძრაობის შემადგენელი ყველა მხარის მიერ. კვლავ ვადასტურებთ, რომ ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა უნდა დაიცვან საკუთარი ავტონომია და წინ აღუდგნენ ნებისმიერი სახის ზეწოლას, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება პოლიტიკური, იურიდიული, რელიგიური ან ეკონომიკური ზეწოლით".

მგონი, ამაზე კომენტარიც ზედმეტია, ისე კი, როგორც კულუარულად შევიტყვეთ, როგორც კი ბადრი პატარკაციშვილი თავის სიმართლეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა ინსტანციაში დაამტკიცებს, თავად გადადგება სოკ-ის პრეზიდენტობიდან.

**ბაჩო სვანიძე**

---

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ ჟაკ როგს**

ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს
ბატონ პატრიკ ჰიკის
ბატონო სოკ-ის პრეზიდენტო,
ბატონო ეოკ-ის პრეზიდენტო,

ვადასტურებ რა ჩემს ღრმა პატივისცემას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ევროპის ოლიმპიური კომიტეტებისა და პირადად თქვენს მიმართ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, საქმის კურსში ჩაგაყენოთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში უკანასკნელი დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ 2004 წლის დეკემბერში ქართული სპორტისა და ოლიმპიური საზოგადოებრიობის, აგრეთვე ქვეყნის ხელმძღვანელობის თხოვნით, მე თანხმობა განვაცხადე, კენჭი მეყარა სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე, რაც უმთავრესად, განპირობებული იყო იმით, რომ ჩემი ფინანსური რესურსებით, მე შემეძლო მნიშვნელოვანი დახმარება აღმომეჩინა ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობისთვის. მხოლოდ მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ჩემ მიერ დაფუძნებული ოლიმპიური ფონდის მეშვეობით ქართულ სპორტში გაკეთდა 5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია.

2007 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე ერთ-ერთმა პარლამენტარმა — ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა და სეოკ-ის აღმასკომის წევრმა განაცხადა, რომ იმავე დღის 14 საათზე უნდა შევიკრიბოთ სეოკ-ის შენობაში და გადავაყენოთ თანამდებობიდან ა. პატარკაციშვილი. მიზეზი იყო, თითქოსდა, ჩემი აქტიური ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობა.

სეოკ-ის აღმასკომის რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა მიიღო მხოლოდ მაშინ, როცა წევრებმა და ზოგიერთი ფედერაციის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ოფისში მოსვლა, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა კი — მხოლოდ ორი საათით ადრე. როგორც ირკვევა, სეოკ-ის აღმასკომის წევრების შერჩევითი გაფრთხილება ხდებოდა სპორტის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

იმის გამო, რომ ეგრეთ წოდებული სხდომის მოწვევა მოხდა პროცედურების უხეში დარღვევით და სხდომის დარბაზიდან ვერ მოხერხდა უცხო ხალხის გაყვანა, სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა პროტესტის ნიშნად დატოვა ოფისი, ხოლო იქ მყოფმა ვიცე-პრეზიდენტმა გ. თოფაძემ უარი თქვა სხდომის წაყვანაზე. ამის შემდეგ სხდომის წაყვანა დაევალა ზემოდხსენებულ პარლამენტარს, ხოლო მდივნობა კი — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს (რომლებიც ამავდროულად არიან სეოკ-ის აღმასკომის წევრები). ამ შეკრებაზე გაცხადდა, რომ მე ვბრუნდებოდი ლონდონიდან იმავე დღეს, საღამოს 17-18 საათზე და ვაპირებდი სეოკ-ის ოფისში მისვლას. ეს წინადადება არ იქნა გათვალისწინებული და სხდომა ჩატარდა ჩემი მონაწილეობის გარეშე.

ამ ე. წ. „სხდომის" მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება სეოკ-ის წესდებას და რაც მთავარია, არალეგიტიმურია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხდომას სეოკ-ის აღმასკომის 38 წევრიდან ესწრებოდა 18, ანუ ნახევარზე ნაკლები.

ეს შეკრება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ სხდომის ჩატარების მცდელობად, რომლის განხორციელებაც მოხდა სეოკ-ის წესდების დარღვევით (რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, აღმასკომის სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაში).

ყველა განცხადება რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ 9 ოქტომბრით არის დათარიღებული. ტექსტი ერთი და იგივეა და ბევრ მათგანზე ხელმოწერა ხდებოდა დარბაზშივე. არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ფედერაციათა ხელმძღვანელობის კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილებას, არ არის გაფორმებული სათანადოდ (ფედერაციის ბლანკი, ბეჭედი, ამონაწერი ფედერაციის გამგეობის (აღმასკომის) სხდომიდან და სხვ.). არც ერთ მათგანში არ არის არავითარი არგუმენტირება, თუ რატომ უნდა მოხდეს რიგგარეშე სესიის მოწვევა, მით უმეტეს, როცა დეკემბრის შუა რიცხვებში ჩატარდება სეოკ-ის ყოველწლიური საანგარიშო სესია.

წესდების საწინააღმდეგოდ მე, როგორც სეოკ-ის პრეზიდენტს, უფლებამოსილება შემიჩერდა, რომელიც მხოლოდ სესიის პრეროგატივაა.

ამ რიგგარეშე სესიის ჩატარების თარიღად გამოცხადდა 29 ოქტომბერი, ხოლო მანამდე სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაევალა სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს და არა — პირველ ვიცე-პრეზიდენტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში უხეშ ჩარევას, სეოკ-ის წესდების დარღვევას და შესაბამისად, 29 ოქტომბერს დანიშნული სეოკ-ის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და ჩემი უფლებამოსილების შეჩერება უკანონოა.

ბატონო პრეზიდენტო როგ, ბატონო პრეზიდენტო ჰიკი, ველოდები სათანადო გამოხმაურებას სოკ-ისა და ეოკ-ის შესაბამისი სტრუქტურებიდან და ვიტოვებ უფლებას, მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია

*პატივისცემით,*

*სეოკ-ის პრეზიდენტი ა. პატარკაციშვილი*

---

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი პრეზიდენტის აღმასრულებელი ოფისი**

ბატონ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილს
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის
პრეზიდენტს

ლოზანა 2007 წლის 11 ოქტომბერი

პატივცემულო პრეზიდენტო,

ვადასტურებთ 2007 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული სოკ-ის პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილი თქვენი წერილის მიღებას, რომელშიც გვაცნობეთ ბოლო დროს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში განვითარებული მოვლენების შესახებ.

ჩვენთვის გასაგებია აღწერილი სიტუაცია და გამოვთქვამთ ჩვენს შეშფოთებას, საქართველოს ეოკ-ში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე.

ამასთან დაკავშირებით, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მკაცრად მოითხოვს უცილობელ შესაბამისობას ოლიმპიური ქარტიის პრინციპებთან და თქვენი ეოკ-ის წესდებასთან, რომელიც 2001 წლის 13 ივნისს დაამტკიცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და მხარს უჭერს ამ წესდებით განსაზღვრული ლეგიტიმურობის დაცვას, თქვენს ქვეყანაში მოქმედი ოლიმპიური მოძრაობის შემადგენელი ყველა მხარის მიერ.

ამასთანავე, ვსარგებლობთ შემთხვევით და კვლავ ვადასტურებთ, რომ ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, „ეოკ-ებმა" უნდა დაიცვან საკუთარი ავტონომია და აღუდგნენ ნებისმიერი სახის ზეწოლას, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება პოლიტიკური, იურიდიული, რელიგიური ან ეკონომიკური ზეწოლით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ ოლიმპიური ქარტიის პირობების დაცვაში."

ამიტომ, თქვენს სრულ განკარგულებაში ვრჩებით, რათა დაგეხმაროთ თქვენი ეოკ-ის ლეგიტიმურობისა და ავტონომიის შენარჩუნებაში და ველით თქვენს ინფორმაციას მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ.

გთხოვთ, თავისუფლად დაუკავშირდეთ ბატონ პერე მიროს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, რომლებიც ნებისმიერ დროს თქვენს განკარგულებაში არიან.

*პატივისცემით,*

*კრისტოფ დე კეპერი*

პრეზიდენტის კაბინეტის ხელმძღვანელი ასლი გაეგზავნა: ბატონ პატრიკ ჰიკს
ეროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდეტს
ბატონ სოკ-ის ეო.კ-ებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს



ელენა დემენტიევამ „კრემლის თასი" მესამე ცდით მოიპოვა

AFP

# რუსებმა მოსკოვი აიღეს

**კაცები**
მოსკოვი. რუსეთი. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 000 000 $

**ნახევარფინალი**

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:6 6:1; პოლ-ანრი მატიო (4, საფრანგეთი) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 7:5 6:3

**ფინალი**

დავიდენკო — მატიო 7:5 7:6

ნიკოლაი დავიდენკომ შეძლო ტიტულის დაცვა, დაამარცხა რა პოლ-ანრი მატიო მეტად დაძაბულ ფინალში. რუსმა ორივე სეტში მხოლოდ მიწურულს გატეხა ფრანგი და მოსკოვში უკვე მესამედ იჩემპიონა. აქამდე დავიდენკოს კრემლის თასი შარშან და 2004 წელს მოეგო.

რუსისთვის ეს წლეულს პირველი, კარიერაში კი მე-11 ტიტულია. თუმც დავიდენკოსთვის ყველაზე მთავარი მაინც ის უნდა იყოს, რომ ამ გამარჯვებით მან ნოემბრის ბოლოს შანხაიში გასამართ მასტერსის თასზე თამაშის უფლება დაიბევა — მის გარდა ჩინეთში ადგილი როჯერ ფედერერს, რაფაელ ნადალს და ნოვაკ ჯოკოვიჩს აქვთ გარანტირებული.

**კაცები**
ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 642 750 €

**ნახევარფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (1, სერბეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:4 6:3; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 7:5 6:1

**მეოთხედფინალი**

ჯოკოვიჩი — ვავრინკა 6:4 6:0

ნოვაკ ჯოკოვიჩმა საქმით დაამტკიცა, რომ ვენაში პირველი ნომერი ტყუილად არ მიუციათ — ფინალში 75 წუთში გადაუარბინა სტანისლას ვავრინკას და სეზონში მეხუთე ტიტულიც გაინაღდა.

შვეიცარიელმა მხოლოდ პირველ სეტში შეძლო თანაბრად თამაში, მაგრამ სერბმა მესამე გეიმში გაკეთებული ბრეიკი შეინარჩუნა და დაწინაურდა კიდეც. მეორე პარტიაში კი ჯოკოვიჩმა ალპელს შანსიც აღარ დაუტოვა და სეზონში 65-ე გამარჯვებაც მოიპოვა. ამ მაჩვენებლით ბალკანელი საუკეთესოა, მისი უახლოესი მდევარი კი რაფაელ ნადალია 62 მოგებით.

სერბისთვის ეს მეათე საკარიერო ფინალი და მეშვიდე ტიტული იყო. ჯოკოვიჩს უკვე განაღდებული აქვს წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა. ნოვაკზე მეტი ტურნირი წლეულს მხოლოდ ნადალსა და ფედერერს მოუგიათ — მათ ანგარიშზე ექვს-ექვსი ტიტულია.

**კაცები**
სტოქჰოლმი. შვედეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 680 250

**ნახევარფინალი**

ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) 3:6 6:1 7:6; ივო კარლოვიჩი (7, ხორვატია) — ტომი ჰაასი (4, გერმანია) 6:4 6:3

**ფინალი**

კარლოვიჩი — იოჰანსონი 6:3 3:6 6:1

ივო კარლოვიჩმა ფინალში მასპინძელი ტომას იოჰანსონის წაქცევით წლეულს მესამე ტურნირი მოიგო. შვედმა სცადა ბრძოლა და ორი სეტი თანაბრადაც იომა, მაგრამ, ჩანს, ნახევარფინალში წინა ორი წლის ჩემპიონ ჯეიმს ბლეიკის წაქცევამ ვეტერანი სკანდინავი ძალიან დაღალა და გუშინდელი ფინალის მესამე პარტიაში ძალები აღარ ეყო.

კარლოვიჩმა ისევ და ისევ საკუთარი უძლიერესი მოწოდებით იხეირა. მან ფინალში 25 ეისი მოაწოდა. სხვათა შორის, ეისების რაოდენობით გიგანტი ხორვატი მთელ ტურს ლიდერობს — მან წლეულს 1 135 ეისი მოაწოდა. რეკორდი კი კარლოვიჩის თანამემამულე გორან ივანიშევიჩს ეკუთვნის, რომელმაც 1996 წლის სეზონში 1 447-ჯერ დაბომბა მეტოქეები.

კარლოვიჩი წლეულს მხოლოდ მეორე ჩოგბურთელია, ვინც სამ სხვადასხვა საფარზე მოიგო ტურნირი — სტოქჰოლმში ჰარდზე იხეირა, მანამდე კი ჰიუსტონის გრუნტზე და ნოტინჰემის ბალახზე იჩემპიონა. ხორვატის გარდა სამ სხვადასხვა საფარზე, რაღა თქმა უნდა, როჯერ ფედერერს უმარჯვია.

**ქალები**
მოსკოვი. რუსეთი. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 340 000 $

**ნახევარფინალი**

ელენა დემენტიევა (რუსეთი) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:1 6:0; სერენა უილიამსი (5, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (1, რუსეთი) 7:6 6:1

**ფინალი**

დემენტიევა — უილიამსი 5:7 6:1 6:1

კრემლის თასი მთლიანად მასპინძელთა ტრიუმფით დასრულდა. დავიდენკოს დარად „ოლიმპიისკიში" შეკრებილი მაყურებელი ელენა დემენტიევამაც გაახარა, რომელმაც, სეტის წაგების მიუხედავად, ბეჭებზე გააკრა სერენა უილიამსი და საკუთარი მაყურებლის თვალწინ პირველად იხეირა. დემენტიევა 2002 და 2004 წლებშიც მივიდა ფინალამდე, მაგრამ ბოლო ნაბიჯი ვერ გადადგა. თუმც ამჯერად მოსკოველმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და უმცროსი უილიამსი მაინც დაჯაბნა.

პირველი სეტის წაგების შემდეგ კორტზე უცნაური რამ მოხდა. დემენტიევას, რომელიც ძალიან ცუდი მოწოდებით არის ცნობილი, საკუთარი გეიმი აღარ წაუგია. სამაგიეროდ, რუსის სენი სერენას შეეყარა, რომელმაც კატასტროფული რაოდენობის უნებლიე შეცდომები დაუშვა და დემენტიევას მოგება ფრიად გაუადვილა.

ლენამ კი მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა საკუთარ თავს — დღეს 26 წლის ხდება.

**ქალები**
ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი. საპრიზო 200 000 $

**ნახევარფინალი**

იუნ-იან ჩანი (ტაივანი) — ძი იანი (ჩინეთი) 7:5 3:6 7:5; ფლავია პენეტა (7, იტალია) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 6:4 7:6

**ფინალი**

პენეტა — ჩანი 6:4 7:6

ფლავია პენეტამ ბანგკოკში გამარჯვება ნახევარფინალში ტურნირის მთავარ ფავორიტ ვინუს უილიამსის დამარცხებით ალალად დაიმსახურა. ასეთი მოგების შემდეგ იტალიელს ფინალში მარცხის უფლება უბრალოდ, აღარ ჰქონდა და მანაც ალმაფრენით ითამაშა, ორ სეტში მოერია ტაივანელ ჩანს და კარიერაში მეხუთე ტიტულიც გაინაღდა.

**ბახა ლომჯარიძე**



# რეგულარული ჩემპიონატი

NHL

**12 ოქტომბერი**

**დალასი 2:3 კალგარი**
**1:1 1:0 0:1 0:1**
1:0 მოდანო (5), 1:1 იგინლა (20), 2:1 ჰაგმანი (30), 2:2 ლომბარდი (51), 2:3 ლომბარდი (64)

**დეტროიტი 2:3 ჩიკაგო**
**2:0 0:2 0:1**
1:0 ზეტერბერგი (8), 2:0 დრეიპერი (10), 2:1 შარპი (38), 2:2 სიბრუკი (39), 2:3 ლანგი (50)

**ედმონტონი 2:5 ვანკუვერი**
**1:2 1:1 0:1**
0:1 ჰ. სედინი (11), 0:2 რაიპიენი (13), 1:2 სურეი (20), 1:3 ბუროუზი (24), 2:3 ტორესი (38), 2:4 მორისონი (38), 2:5 ნესლუნდი (58)

**ლოს ანჯელესი 6:8 ბოსტონი**
**1:1 2:3 3:4**
0:1 კესელი (17), 1:1 სტოლარცი (20), 1:2 მიურეი (25), 1:3 ეორდი (26), 1:4 კესელი (29), 2:4 ბ. მიურეი (38), 3:4 კოპიტარი (40), 3:5 კესელი (42), 4:5 კამალერი (45), 5:5 კოპიტარი (49), 5:6 სავარი (50), 5:7 ლუჩიჩი (56), 5:8 კობასიუ (59), 6:8 ოსალივანი (60)

**სენტ ლუისი 4:1 კოლორადო**
**1:1 0:0 3:0**
1:0 ბოისი (2), 1:1 სმასტნი (5), 2:1 მაკლემანი (45), 3:1 პაინოუტი (46), 4:1 პაინოუტი (56)

**რეინჯერსი 3:1 ვაშინგტონი**
**3:1 0:0 0:0**
1:0 გომესი (2), 1:1 ოვეჩკინი (8), 2:1 სტრაკა (14), 3:1 როჟივალი (18)

**13 ოქტომბერი**

**ბუფალო 7:3 ვაშინგტონი**
**0:1 4:0 3:2**
0:1 ნიულანდერი (12), 1:1 შპაჩეკი (35), 2:1 აფინოგენოვი (36), 3:1 პომინვილი (38), 4:1 მეირი (40), 4:2 გრინი (48), 5:2 როი (50), 5:3 ოვეჩკინი (52), 6:3 როი (53), 7:3 შპაჩეკი (57)

**ტორონტო 4:6 პიტსბურგი**
**2:1 2:3 2:0**
0:1 კრისტენსენი (6), 1:1 ტაკერი (7), 2:1 ანტროპოვი (9), 3:1 სუნდინი (21), 3:2 კროსბი (27), 3:3 ტალბო (27), 3:4 მელოუნი (36), 4:4 ბლეიკი (37), 4:5 კროსბი (55), 4:6 ტალბო (60)

**მონრეალი 1:3 კაროლინა**
**1:1 0:1 0:1**
1:0 ჰიგინსი (2), 1:1 სტილმანი (16), 1:2 კალენი (40), 1:3 ლაროუზი (60)

**რეინჯერსი 1:3 ოტავა**
**0:0 0:3 1:0**
0:1 ჰიტლი (29), 0:2 ფილიპსი (29), 0:3 ივზი (30), 1:3 იაგრი (59)

**ფილადელფია 3:1 აილენდერსი**
**0:0 2:0 1:1**
1:0 კარტერი (27), 2:0 კაპანენი (29), 2:1 ვასიჩეკი (43), 3:1 სმიტი (60)

**ფინიქსი 2:3 მინესოტა**
**2:1 0:0 0:2**
0:1 გაბორიკი (5), 1:1 კარჩილო (15), 2:1 კარჩილო (18), 2:2 მ. კოივუ (54), 2:3 ბელანჟე (57)

**სან ხოსე 1:2 ბოსტონი**
**0:1 0:1 1:1**
0:1 ბერჟერონი (17), 1:1 მიხალეკი (60), 1:2 უორდი (60)

**ატლანტა 5:6 ნიუ ჯერსი**
**1:2 3:1 1:3**
0:1 მედენი (2), 1:1 ჰეიდარი (3), 1:2 ელიაში (19), 2:2 კოვალჩუკი (21), 3:2 ექსელბი (28), 4:2 ჰოლიკი (29), 4:3 პანდოლფო (40), 4:4 ზედნიკი (44), 4:5 ბრილინი (53), 5:5 კოვალჩუკი (57), 5:6 ელიაში (60)

**ფლორიდა 6:4 ტამპა**
**3:0 1:1 2:3**
1:0 ჰორტონი (3), 2:0 სალეი (5), 3:0 ვაისი (19), 4:0 ზედნიკი (23), 4:1 რიჩა (23), 5:1 შტუმპელი (42), 5:2 პროსპალი (46), 5:3 პროსპალი (48), 5:4 პლავაჩი (49), 6:4 იოკინენი (53)

**ნეშვილი 4:7 კალგარი**
**1:1 3:3 0:3**
0:1 ლენგკოუ (13), 1:1 რადულოვი (19), 1:2 კონროი (24), 1:3 ჰუსელიუსი (27), 2:3 ბონკი (30), 2:4 ლომბარდი (34), 3:4 არნოტი (38), 4:4 დუმონი (40), 4:5 გოდარი (45), 4:6 იგინლა (48), 4:7 ჰუსელიუსი (58)

**ჩიკაგო 2:1 დალასი**
**0:1 0:0 1:0 1:0**
0:1 მოროუ (14), 1:1 ლანგი (60), 2:1 უილიამსი (61)

**კოლორადო 5:1 კოლუმბუსი**
**1:0 2:1 2:0**
1:0 საკიკი (7), 1:1 კლემლა (21), 2:1 ჰეიდუკი (24), 3:1 ჰეიდუკი (30), 4:1 საკიკი (42), 5:1 საკიკი (51)

**ვანკუვერი 4:1 ედმონტონი**
**1:0 2:0 1:1**
1:0 მორისონი (20), 2:0 დ. სედინი (33), 3:0 დ. სედინი (36), 4:0 პიატი (48), 4:1 კოლიანო (53)

# სიდნი კროსბიმ განელილი შეამოკლა

**ეტყობა,** ბოლო მოეღო სიდნი კროსბის ჩავარდნას. შარშანდელმა საუკეთესო ბომბარდირმა წლევანდელი სეზონი არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო — პირველ სამ შეხვედრაში მხოლოდ ორი საგოლე პასი გააკეთა და ეს გუნდსაც დაეტყო, რომელმაც ამ სამი მატჩიდან ორი წააგო. თუმც საკმარისი იყო, „პატარა სიდს" ჩვეულად ეთამაშა, რომ "პინგვინები" ისევ აღმავლობის გზას დაადგნენ. კროსბიმ „ტორონტოსთან" შეხვედრაში დუბლი მიითვალა, "პიტსბურგმა" კი მეტად დაძაბულ და უხვგოლიან თამაშში სეზონის მეორე გამარჯვება მოიპოვა.

„სულაც არ ვთვლიდი, რომ ჩავარდნა მქონდა. უბრალოდ, შანსებს ვერ ვიყენებდი. ეს სპორტის შემადგენელი ნაწილია და ვერსად გაექცევი — ასეთი უიღბლო პერიოდი ყველა სეზონში არის ხოლმე. შარშანაც 8-10 შეხვედრა უგოლოდ გავიარე. უბრალოდ, იმედი მქონდა, რომ ეს პერიოდი არ გაიწელებოდა" — ბედნიერი იყო ნამატჩევს კროსბი.

ამასობაში სამუდამოდ ჩაწერა თავისი სახელი "ფლორიდის" ისტორიაში ოლი იოკინენმა. „პანტერების" ფინელმა კაპიტანმა "ტამპასთან" შეხვედრაში შაიბა გაიტანა და ორჯერ საგოლედაც უპასა პარტნიორებს. "პანტერების" მაისურით იოკინენის ანგარიშზე 156 გოლი და 198 გადაცემაა და 354 ქულით ფინელი გუნდის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირ სკოტ მელანბის გაუტოლდა.

აი, ჯო საკიკი კი „კოლორადოს" მორიგ რეკორდს უმიზნებს. სეზონის საწყის მატჩებში „ზვავებში" პოლ შტასტნი ბობოქრობდა, თუმც გუშინ ისევ 38 წლის ვეტერანის დრო დადგა, რომელმაც „კოლუმბუსთან" შეხვედრაში თავისი მე-15 საკარიერო ჰეთ თრიქი მიითვალა. ჰოდა, ახლა საკიკი შტასტნის მამის რეკორდს უტევს — უფროსი შტასტნის, პეტერის ანგარიშზე 16 ჰეთ თრიქი ყოფილა და საკიკსაც კიდევ ერთი სამგოლიანი შეხვედრა სჭირდება, მას რომ შესწვდეს.

„უკვე 15 დამიგროვებია. იმედია, კიდევ ერთხელ შევძლებ იგივეს" — თქვა მატჩის შემდეგ საკიკმა, რომლის ანგარიშზე ნჰლ-ში უკვე 614 გოლია.

**ბახა ლომჯარიძე**

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

**არ გამართლდა ლეგენდარული ახალზელანდიელის ჯონა ლომუს ვარაუდი, ფინალში საფრანგეთი გავაო. გენიოსი ჯონი უილკინსონით შემაგრებულმა ინგლისმა ოთხმოცწუთიანი ომი საფრანგეთს მისსავე მოედანზე მოუგო, თავად ფინალში გავიდა, თასის მასპინძელი კი მესამე ადგილისთვის ბრძოლას შეატოვა**

# ინგლისმა საფრანგეთს ოცნება უტირა

## ამაყი და ჯიგრიანი ბიჭები

**ნახევარფინალი**

13 ოქტომბერი. 23.00. პარიზი. სენ დენი

**საფრანგეთი 9:14 ინგლისი**

საფრანგეთი: ტრაი, კლერკი, მარტი, ჟოზიონი, ემონსი, ბოგზი, ჟან-ბატის ელისარდე; ბონვრი, დუზატუარი, ბესენი, ტიონი, პელუ, დევილიე, იბანიესი (კაპ), მილუ

შეცვლაზე შევიდნენ: შარჟევსკი, პო, შაბალი, არინორდოკი, მიშალაკი, დომინისი, პოიტრინუ

ყს: ბოგზი

ინგლისი: რობინსონი, საკი, ტაიტი, ქეთი, ლუსი, უილკინსონი, გომარსალი; ისტერი, მუდი, ქორი, კეი, შოუ, ვიკერი (კაპ), რეგანი, შერიდანი

შეცვლაზე შევიდნენ: შუტერი, სტივენსი, დალალიო, უორსლი, რიჩარდსი, ფლუდი, ჰიფკისი

1ლ: ლუსი; 2ს: უილკინსონი; 1ა: უილკინსონი





ჯონი უილკინსონმა და მისმა ინგლისმა გოლიათი სებასტიენ შაბალიც აატირეს

**ჯონი უილკინსონი!** კაცი, რომელსაც მთელმა ინგლისმა ფეხები უნდა დაუკოცნოს და ძეგლი დაუდგას. „არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ჯონი მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეა. მე რომ მკითხოთ, უილკოს ფეხი შეუფასებელია, მის დაზღვევას მთელი მსოფლიოს ფულიც არ ეყოფა" — ნამატჩევს ემოციებს ვერ მალავდა და ბავშვივით ხტოდა ინგლისელთა მრავლისმნახველი მცველი ჯეისონ რობინსონი, რომელიც წინა მსოფლიოს თასზე ჯადო ჯონისთან ერთად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, გუშინწინ კი საიუბილეო, 50-ე სანაკრებო მატჩი ითამაშა და გასახდელიდან სწორედ იგი გამოუძღვა „ვარდებს".

ერთი სტატისტიკური მონაცემიც: წლეულს ინგლისი და საფრანგეთი მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს. აქამდე მარტში, ექვსი ერის სტარტზე ინგლისმა შინ 26:18 მოიგო, აგვისტოში კი საფრანგეთმა შინ და გარეთ 22:9 და 21:15 გაიმარჯვა. მაგრამ ეს მაშინ იყო, როცა ჯონი უილკინსონი ტრავმას ტრავმაზე ერეოდა და უიმისო ინგლისი უყოხო ფარას ჰგავდა. ინგლისმა ბოლო 28 ტესტიდან უილკინსონის გარეშე 16 წააგო, ჯგუფში სამხრეთ აფრიკასთან 0:36 რომ განადგურდა, „ვარდები" ყველამ ჩამოწერა, მაგრამ ჯადო ჯონი მოკეთდა, 10 ნომრად დადგა და „ვარდებს" ფინალიც ლამის მარტომ დაუბევა. ის ყველგან იყო, თანაც უილკო მარტო ქულების მანქანა აღარ არის. ის ყველგან იყო, რაქში, ზედახორაში, ბურთისთვის ბულრაობაში. არადა, წინა მსოფლიოს თასის აქეთ, უილკინსონმა 18 ტრავმა მოიჩინა, აქედან ექვსჯერ კი საოპერაციო შეიქნა და ექიმებმა ურჩიეს, ხეიბრობა თუ არ გინდა, რაგბობას შეეშვიო. შეეშვა კი არა, პირიქით, მატჩში იყო მომენტი, როდესაც, მასზე დაძრული ლამის 20 სანტიმეტრით მაღალი და 50 კილოთი მძიმე სებასტიან შაბალი ადგილზე გააქვავა, მერე კი ფრანგთა გოლიათი მორკინალი ჟერომ ტიონი დასვა უკანალზე. აქეთ ჯეისონ რობინსონი და ენდი გომარსალი უმოწყალოდ ბოჭავდნენ ფრანგებს, რომელთა შემტევების შესანიშნავი თამაში ინგლისელთა თავგანწირვის ფონზე მთლიანად დაიჩრდილა. „ინგლისს შეუძლია იამაყოს, მას ჰყავს ცხოვრების ძმაბიჭების კრებული, რომლებმაც იციან, როგორ შეირგონ სიდიადე, დაიცვან თავიანთი ღირსება, ამ ჯიგრიან ბიჭებზე ალალია, იყვნენ ამაყები" — სიტყვასიტყვით ასე ეხმაურება ინგლისელთა გამარჯვებას სარაგბო ვებგვერდი „პლანეტ-რაგბი".

მატჩის კულმინაცია ბოლო ათი წუთი იყო. ამ დროისთვის ლიონელო ბოგზის სამი ჯარიმით საფრანგეთი 9:8 იგებდა და ახლოს იყო ლელოსთან — ორმეტრიანმა იმანოლ არინორდოკმა დაკიდებული ბურთი, ფრენბურთელივით უპასა ვინსენ კლერკს, ამან ჩვეულად ჩაუდრიბლინგა ინგლისელთა მბოჭავებს და ლელომდე აღარაფერი რომ აკლდა, სწორედ მაშინ ჯო უორსლი რეზინივით გაიწელა და თითებით შეძლო კლერკის წაბორძიკება. ამასობაში ინგლისელებმა დაცვა დააწყვეს და შეტევა მოიგერიეს. საპასუხო იერიშისას ჯონი უილკინსონმა ჯერ ჯარიმის გაიტანა, მატჩის ბოლო წუთზე კი საფირმო არეკნით ტრიბუნები დაადუმა, ფრანგული ოცნება კი მინიმუმ ოთხი წლით ჩაკლა.

**ბაჩო სვანიძე**

## ნამატჩევს

**მართლაც** ფერფლიდან აღდგა ბრაიან ეშტონის ინგლისის ნაკრები. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივრებიც კი ვერ ბედავდნენ იმის თქმას, რომ ალბიონელები ფინალში გავიდოდნენ. სამხრეთ აფრიკასთან წაგებული 0:36, აშშ-სთან, ტონგასთან და სამოასთან რის ვაივაგლახით გამოღლეტილი გამარჯვებები ბრიტანელების ამჟამინდელი წარმატებების წინაპირობას ნამდვილად არ იძლეოდა, მაგრამ თურმე ეშტონს ყოველთვის სჯეროდა თავის გუნდის. მან მატჩის შემდეგ ემოციებით სავსე სიტყვებით მიმართა ჟურნალისტებს: „ვიცოდი, რომ ადვილი არ იქნებოდა ფრანგების დამარცხება, მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა ჩემი ბიჭების. პირველ ტაიმში ვერ ვგრძნობდით გამარჯვების სუნს, აი, მეორის დასაწყისში კი მივხვდი, რომ წინ ვეღარავინ დაგვიდგებოდა. ჩვენ ბრიტანული ბულდოგის ხასიათი გამოვავლინეთ. შეიძლება, ლამაზი თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ სამაგიეროდ, ფინალში გავედით, რითაც ყველა სკეპტიკოსი დავადუმეთ".

ინგლისელთა უკანახაზელმა ჯეისონ რობინსონმა თქვა, ფრანგებზე უპირატესობას მატჩის დაწყებამდეც კი ვგრძნობდითო. ყველა იმას ფიქრობდა, რომ ინგლისის ნაკრები მასპინძლებს ვერ დაამარცხებდა, მაგრამ ერთ მუშტად შევიკარით და ფინალშიც გავედით. ეს იყო სხვანაირი ინგლისი სხვა ტაქტიკით, შეიძლება არასიმპათიური, მაგრამ რაციონალური. ჩვენ გამოვძერწეთ დიდი გამარჯვება" — ჯახის შემდეგ ამბობდა ჯეისონ რობინსონი, რომელიც იმ დღეს მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

ლორენს დალალიომ კი ბრაიან ეშტონი შეაქო: „მსოფლიოს თასი ცუდად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ ავთამაშდით და აშკარად შეგვეტყო, რომ რამდენიმე კვირაში სულ სხვა დონეს მივაღწიეთ. ბრაიან ეშტონს ყოველთვის სჯეროდა ნაკრების სიძლიერის, მას ერთ წუთითაც კი არ დაუკარგავს გამარჯვების რწმენა. ტიტანურად ვიშრომეთ და ცოტა გაგვიმართლა კიდეც".

ნახევარფინალურ მატჩზე ფრანთა მწვრთნელმა ბერნარდ ლაპორტმაც გააკეთა კომენტარი. მან თქვა, როცა 68-ე წუთზე ვინსან კლერკმა მარცხენა ფლანგზე დაცვა გაჭრა და იგი ჯო უორსლიმ კოჭზე ხელის გაკვრით ძირს დაავდო, მაშინ ლელო რომ გაგვეტანა, თამაშსაც მოვიგებდითო.

„კლერკის უმწვავესი გარღვევა ჩვენი შანსი იყო, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ლელო რომ გაგვეტანა, გარწმუნებთ, მატჩსაც მოვიგებდით, მაგრამ სამწუხაროდ, მოწინააღმდეგის მცველს საოცარად გაუმართლა, როცა ჩვენს მორაგბეს კოჭზე ოდნავ შეეხო ხელით და ძირს დასცა. შემდეგ ინგლისელთა დაცვამ გადაჯგუფება მოასწრო და სიტუაციაც ამით განიმუხტა. ნახევარფინალებში ყოველთვის ამგვარი წვრილმანები წყვეტს მატჩის ბედს. იმედგაცრუებულები ვართ, რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ ფინალში თამაში გვინდოდა, მაგრამ მინდა, ჩემი უდიდესი პატივისცემა გამოვხატო მოწინააღმდეგის მიმართ, ვინაიდან „ვარდებმა" ჩემპიონატის უსახური დასაწყისის შემდეგ მკვდრეთით აღდგომა მოახერხეს და ფინალსაც უწიეს" — თქვა გულდაწყვეტილმა ლაპორტმა.




**ზურაბ მიგრიაული**

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**



AFP

## ფიცი გვწამს, ვიდეოთვალი გვაკვირვებს

### დაგ ჰაულეტმა ჰაკა მანქანებზე შეასრულა

**მსოფლიოს** თასის მეოთხედფინალში ახალმა ზელანდიამ მასპინძელ საფრანგეთთან რომ წააგო, ძველი ამბავია, ახალი კი ისაა, რომ „ოლ ბლექსის" მელელოვე დაგ ჰაულეტი ლონდონში პოლიციელებმა დააკავეს და ერთსაათიანი ახსნა-განმარტების შემდეგ გაუშვეს.

საფრანგეთთან წაგებული მატჩის შემდეგ დაგ ჰაულეტი და მისი შვიდი თანამენაკრებე ევროპაში დარჩნენ. ისინი ბრიტანულ კლუბებს ერთ და ორწლიან კონტრაქტებზე მოურიგდნენ და ამიტომ შინ აღარ მიბრუნებულან, თავად ჰაულეტი, რომელსაც 62 სანაკრებო მატჩში 49 ლელო გაუტანია, ირლანდიურ „მანსტერში" გადადის და გაისამდე ერთ სეზონში მილიონ-ნახევარ ევროს ჩაიჯიბავს. იქამდე კი ზელანდიელთა მელელოვე 40 ათასი გირვანქით გალარიბდა, აქედან 30 ათასი ჰაულეტმა გირაოში გადაიხადა, ათი ათასი კი მავან ორ ინგლისელს გადასცა — ზარალი აუნაზღაურა.

საქმე ისაა, რომ წაგებით გაბოროტებულმა ოლბლექსელებმა „ჰითროუს" აეროპორტში 13 ათასი გირვანქის სასმელი დალიეს, რის შემდეგაც ჰაულეტი სასტუმრო „ჰილტონის" წინ მდგომ ორ მანქანას შეახტა და ჰაკაობით ჩაჭეჭყა. დებოშიორი პოლიციელებმა ღამის სამ საათზე სასტუმროს ნომერში დააკავეს. თავად ჰაულეტი იფიცებოდა, უბრალო ვარ, ცოლთან და ორ შვილთან ერთად, ნომერში მეძინაო, მაგრამ სასტუმროს ვიდეოთვალს არ გამოჰპარვია მისი პათოლოგიური ქცევა. ამის შემდეგ ჰაულეტმა აღიარა, დავთვერი და შევცდიო. ბოდიშებიც იხადა და ჯერჯერობით იოლად გამოძვრა.

**ბაჩო სვანიძე**



**ნახევარფინალი**

14 ოქტომბერი. 23.00. პარიზი. სენ დენი

**სამხრეთ აფრიკა 37:13 არგენტინა**

ს. აფრიკა: მონტგომერი, პიტერსენი, ფური, შტეინი, ჰაბანა, ჯეიმსი, დიუპრე; როსოუ, ხ. სმიტი, ბურხერი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ფან დერ ლინდე, ჯ. სმიტი (კაპ), დიურანი

შეცვლაზე შევიდნენ: გ. ბოთა, დიუპლე, მიულერი, სკინსტადი, პიენაარი, პრეტორიუსი, ოლივერი

4ლ: დიუპრე, ჰაბანა (2), როსოუ; 4გ: მონტგომერი; 3ს: მონტგომერი

არგენტინა: კორლეტო, ბორხესი, მ. კონტეპომი, ფ. კონტეპომი, აგულა, ერნანდესი, პიშო (კაპ); გ. ლონგო, ხ. ლობე, ოსტილია, ალბასეტე, კ. ლობე, სკელცო, ლედესმა, რონსერო

შეცვლაზე შევიდნენ: ბასუალდო, ჰასანი, კაირელისი, ლეგუიზამონი, მირანდა, ტოდესკინი, ტიესი

1ლ: მ. კონტეპომი; 1გ: ფ. კონტეპომი; 2ს: ფ. კონტეპომი

## უილკინსონს გააქვს და გააქვს...




**მსოფლიოს თასის** ნახევარფინალები გასრულდა და რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) ამ დღეებში თავის განახლებულ რეიტინგს გამოაქვეყნებს და თასის ფინალის წინ ალბათ სარეიტინგო სეფე ოთხეულში გადანაცვლებებიც მოხდება.

იქამდე კი მსოფლიოს თასის მრიცხველი ისევ ტრიალებს, ოღონდ ახლა მატჩებმა რომ იკლო, კონკრეტულად კი ორი, სამესამედაგილო ად ფინალიღა დარჩა გასამართი, მრიცხველიც შენელდა და ციფრებიც საგრძნობლად აღარ მატულობს. არადა, ჯგუფურ ეტაპებზე ლელოთა ცვენა იყო, ფინალამდე უკვე 285 ლელო გავიდა, რაც აქამდელ ხუთ მსოფლიოს თასზე საუკეთესო მაჩვენებელია. ერთიცაა, პლეი ოფში შედეგიანობა რომ იკლებდა, მოსალოდნელიც იყო, რაკი საღლაბუცოდ და მაყურებელზე სათამაშოდ არავის სცალია. ამის ფონზე, ცხადია, არც პირად მონაგარში არის ცვლილებები, არც მექულე-მელელოვეებშია განსაკუთრებული აღიჩაღი. სამხრეთ აფრიკელი პერსი მონტგომერი ისევ მსოფლიოს თასის №1 მექულეა. ინგლისის ნაკრების და მსოფლიოს დიდი 10 ნომერი ჯონი უილკინსონი კი თავის მარაგს ნელ-ნელა ზრდის. უილკინსონს ამ მსოფლიოს თასზე ჯგუფური ეტაპის ორი მატჩი კი გაუცდა, მაგრამ მექულეთა ამქარის სამეულში ხომ ტრიალებს და ექვსივე თასის საუკეთესო ბომბარდირიცაა. ამასთან მის შედეგს მინიმუმ მომავალ ორ მსოფლიოს თასზე ვერავინ გაიმეორებს, რაკი მდევრებიდან მხოლოდ ერთი, ფიჯელი ნიკი ლიტლია მოქმედი მორაგბე და რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, ფიჯიმ და მისმა დამრტყმელმა ჯადო ჯონის რამე დააკლონ.

**ბაჩო სვანიძე**

**პირადი რეკორდები**

ნიკ ევანსი (ახ. ზელანდია) — 33 ქულა
ახ. ზელანდია 108:13 პორტუგალია
პერსი მონტგომერი (ს. აფრიკა) — 29
ს. აფრიკა 59:7 სამოა
ჟან-ბატის ელისალდე (საფრანგეთი) — 27
საფრანგეთი 87:10 ნამიბია
მეტ ჟიტუ (ავსტრალია) — 27
ავსტრალია 55:12 ფიჯი
ჯონი უილკინსონი (ინგლისი) — 24
ინგლისი 44:22 სამოა

ლიონელ ბოგზი (საფრანგეთი) — 24
საფრანგეთი 64:7 საქართველო
ბრაიან ჰაბანა (ს. აფრიკა) — 20
ს. აფრიკა 59:7 სამოა
სტირლინგ მორტლოკი (ავსტრალია) — 20
ავსტრალია 91:3 იაპონია
ფელიპე კონტეპომი (არგენტინა) —19
არგენტინა 63:3 ნამიბია
ნიკი ლიტლი (ფიჯი) —18
ფიჯი 38:34 უელსი

**მელელოვეები**

| | |
|---|---|
| ბრაიან ჰაბანა (ს. აფრიკა) | 8 |
| დრიუ მიჩელი (ავსტრალია) | 7 |
| შეინ უილიამსი (უელსი) | 6 |
| დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია) | 6 |
| კრის ლატამი (ავსტრალია) | 5 |

**მსოფლიოს თასის ყველა დროის მელელოვეები**

| | |
|---|---|
| ჯონა ლომუ (ახ. ზელანდია) | 15 |
| დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია) | 13 |
| კრის ლატამი (ავსტრალია) | 11 |
| ჯო როკოსოკო (ახ. ზელანდია) | 11 |
| რორი ანდერვუდი (ინგლისი) | 11 |

**გუნდური ლელოები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 5 | 48 | ირლანდია | 4 | 9 |
| ს. აფრიკა | 6 | 33 | იტალია | 4 | 8 |
| ავსტრალია | 5 | 31 | იაპონია | 4 | 7 |
| საფრანგეთი | 5 | 26 | აშშ | 4 | 7 |
| უელსი | 4 | 23 | კანადა | 4 | 6 |
| არგენტინა | 6 | 18 | საქართველო | 4 | 5 |
| ფიჯი | 5 | 16 | სამოა | 4 | 5 |
| შოტლანდია | 5 | 15 | რუმინეთი | 4 | 5 |
| ინგლისი | 6 | 12 | პორტუგალია | 4 | 4 |
| ტონგა | 4 | 9 | ნამიბია | 4 | 3 |

**მსოფლიოს თასის ყველა დროის მექულეები**

| | თ | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 14 | 1 | 23 | 51 | 13 | 243 |
| გევინ ჰასტინგსი (შოტლანდია) | 13 | 9 | 39 | 36 | 0 | 227 |
| მაიკლ ლინა (ავსტრალია) | 15 | 4 | 36 | 33 | 2 | 195 |
| გრანტ ფოქსი (ახ. ზელანდია) | 10 | 0 | 37 | 31 | 1 | 170 |
| ენდრიუ მერთენსი (ახ. ზელანდია) | 10 | 1 | 25 | 33 | 3 | 163 |
| გონსალო კესადა (არგენტინა) | 8 | 0 | 12 | 35 | 2 | 135 |
| მეტ ბერკი (ავსტრალია) | 13 | 6 | 19 | 19 | 0 | 125 |
| ნიკი ლიტლი (ფიჯი) | 11 | 0 | 22 | 26 | 1 | 125 |
| ტიერი ლაკრუა (საფრანგეთი) | 9 | 4 | 7 | 30 | 0 | 124 |
| გარეს რიისი (კანადა) | 13 | 0 | 15 | 25 | 5 | 120 |

თ — თამაში, ლ — ლელო, გ — გარდასახვა,
ს — საჯარიმო, ა — არეკნი ქ - ქულა

**მექულეები**

| | თ | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს. აფრიკა) | 6 | 2 | 22 | 13 | 0 | 93 |
| ფელიპე კონტეპონი (არგენტინა) | 6 | 1 | 8 | 17 | 0 | 72 |
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 4 | 0 | 5 | 12 | 5 | 61 |
| ნიკ ევანსი (ახ. ზელანდია) | 4 | 2 | 20 | 0 | 0 | 50 |
| კრის პატერსონი (შოტლანდია) | 5 | 1 | 10 | 7 | 0 | 46 |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 4 | 0 | 7 | 10 | 0 | 44 |
| ჟან-ბატის ელისალდე (საფრანგეთი) | 5 | 1 | 12 | 5 | 0 | 44 |
| ნიკი ლიტლი (ფიჯი) | 3 | 0 | 9 | 8 | 0 | 42 |
| მეტ ჟიტუ (ავსტრალია) | 4 | 3 | 8 | 3 | 0 | 40 |
| დენ კარტერი (ახ. ზელანდია) | 3 | 1 | 10 | 5 | 0 | 40 |
| მერაბ კვირიკაშვილი (საქართველო) | 4 | 0 | 4 | 5 | 0 | 23 |

თ — თამაში, ლ — ლელო, გ — გარდასახვა,
ს — საჯარიმო, ა — არეკნი ქ - ქულა

# ენერგია და ინვესტიცია

## სტეფანოვს რივერსი და ფერგიუსონი დაემატნენ



**ანვარ ფერგიუსონი**

ცენტრი, ამერიკელი
დაბადების წელი: 1981
სიმაღლე: 213

**2002-03 წლები**
ჰიუსტონის უნივერსიტეტი (NCAA):
28 მატჩი, 6.2 ქულა, 6.7 მოხსნა, 4.8 დაფარება

**2003-04 წლები**
ჰიუსტონის უნივერსიტეტი (NCAA): 27 მატჩი, 7.5 ქულა, 7.2 მოხსნა

**2004-05 წლები**
საკრამენტო (ნბა):
5 მატჩი, 6.6 ქულა, 7.8 მოხსნა, 3.8 დაფარება

**2005-06 წლები**
ფლორიდა (NBADL)

**2006**
გლადიატორსი (WBA)

**2006-07**
გორგან შარდარი (ირანის სუპერლიგა):
14.2 ქულა, 7.6 მოხსნა, 3.2 დაფარება

**გადაწყვეტილი** ამბავია: რუსთავულ „ენერჯი-ინვესტში“ მომავალ სეზონში 3 უცხოელი ითამაშებს. უკვე ჩამოსულ და დუდუდადიანის მემორიალზე ნაყოჩაღევ სერბ იოვან სტეფანოვს მალე ორი ოკეანგაღმელი შეემატება — ამერიკელ ბელტონ რივერსზე შაბათს გამცნეთ, ახლა კი ბაჰამელი ანვარ ფერგიუსონის რუსთავში ტრანსფერზე მოგითხრობთ.

ქვემოქართლელთა თავკაცმა დავით უსტიაშვილმა ამასწინათ გვითხრა, რომ მისი გუნდი უცხოელი ცენტრის შემატებას გეგმავდა. ეს ისედაც ცხადი იყო: რუსთაველებს არ ჰყავდათ ნომინალური ცენტრი, არადა, „ენერჯი-ინვესტს“ თვის ბოლოს ევროთასის მატჩი ელის ჰოლანდიურ “ასტრონავტსთან“.

და აი, გადაწყდა, რომ ქვემოქართლელა ფარს წარმოშობით ბაჰამელი, თუმც კალათბურთელად ამერიკაში ჩამოყალიბებული ანვარ ფერგიუსონი გაამაგრებს. მას უკვე გაუგზანეს ფაქსით კონტრაქტი, რომელიც დღესხვალ ბაჰამელის ხელმოწერით დაბრუნდება და რამდენიმე დღეში მას თავად ფერგიუსონიც მოჰყვება.

სანამ ფერგიუსონის ავანჩავანზე ვისაუბრებთ, გეტყვით, რომ რუსთაველებმა უკვე გადაწყვიტეს ამერიკელი ბელტონ რივერის გუნდში აყვანა. 23 წლის რივერსი რუსთავში ჯერ არ ჩამოსულა, თუმცა „ენერჯი-ინვესტმა“ ფაქსის საშუალებით უკვე გააფორმა მასთან კონტრაქტი.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველთა სამივე ახალწვეული სატრანსფერო სააგენტო „ჯორჯიან მენეჯმენტ გრუპის“ მიერაა ჩამოყვანილი. მისი ხელმძღვანელი ლევან მიქელაძე პირველი ქართველი ოფიციალური საკალათბურთო აგენტია და სულ მალე ფიბა-ს სერთიფიკატსაც მიიღებს. აქამდე საქართველოში არ არსებობდა საკალათბურთო აგენტთა კულტურა და ტრანსფერები, ძირითადად, პირადი ნაცნობობით, ოფიციალური შუამავლის გარეშე ხორციელდება.

ფერგიუსონი 26 წლისაა და 213 სანტიმეტრია. ის არ გახლავთ ქულების მკეთებელი მანქანა, თუმცა დაცვის დიდოსტატი რომაა, ეს ერთი შეხედვითაც ჩანს დაფარებები და მოხსნები — აი, ფერგიუსონის მთავარი იარაღი. 2002-03 წლების სეზონში ის ამერიკის სტუდენტური ლიგის უმაღლესდივიზიონელ „ჰიუსტონის უნივერსიტეტში“ თამაშობდა და საშუალოდ 5 დაფარებას აგროვებდა მატჩში. მან რეგულარული სეზონის მოგროვით 3 მატჩში 8 [illegible] მეტი დაფარება მიითვალა, რაც სტუდენტური ლიგის აბსოლუტური რეკორდია.

ფერგიუსონი შეუმჩნეველი არც ნბა-სთვის დარჩენილა, თუმც მას მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში 5 მატჩზე მეტი არ ჩაუტარებია. ჩვენთვის ჯერ უცნობია, რატომ თქვა მასზე „საკრამენტოს კინგსმა“ უარი — ფერგიუსონმა „მეფეთა“ მაისურით 2004-05 წლების რეგულარულ სეზონში ხუთ მატჩში საშუალოდ 6.6 ქულა 7.8 მოხსნა და 3.8 დაფარება დააგროვა. სტატისტიკა შთამბეჭდავია — განსაკუთრებით, დაცვითი კუთხიდან.

შარშან ზაფხულს ფერგიუსონმა „საკრამენტოს“ მაისურით საზაფხულო ლიგაზე ითამაშა, მაგრამ ძველ გუნდში ვეღარ დაბრუნდა და გასული სეზონი ირანში, „გორგან შარდარში“ გაატარა, სადაც საშუალოდ 14.2 ქულას, 7.6 მოხსნას და 3.2 დაფარებას იხვეჭდა.

ანვარ ფერგიუსონი და ბელტონ რივერსი რუსთავში დღეღლეზე ჩამოვლენ და „ენერჯი-ინვესტში“ მათი დებიუტი, სავარაუდოდ, 21 ოქტომბერს, სუპერლიგის პირველ ტურში შედგება.

**ირაკლი პერტაია**





# რიყეზე ბორბალი დატრიალდა

**გუშინ** თბილისში, მტკვრისპირას, ძველ რიყეზე საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციამ მოყვარულ მრბოლთა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი ჩაატარა.

ძალიან საინტერესო, თვალსასეირო შეჯიბრება გამოვიდა, რომელშიც 18 მონაწილე იყო ჩაბმული. გამარჯვებული სამი რთული ფიგურის დაძლევის შედეგად გამოვლინდა. თავიდან „ფოლკსვაგენიანი“ გიორგი მჭედლიშვილი დაწინაურდა, ბოლოს კი მას მეწინავეობა „ჰონდიანმა“ გიორგი სულავამ ჩამოართვა. თუმც ბრძოლის დაძაბულობაზე მეტყველებს, რომ გამარჯვებულმა ორ უახლოეს მდევარს — არჩილ ბიძინაშვილს („ჰონდა“) და ლევან შალიბაშვილს (ვაზ 2107) სულ რაღაც წამის მეათედით აჯობა.

სასიამოვნო აღინიშნოს, რომ გუშინდელ ემოციურ და ლამაზ ბრძოლაში ოთხი გოგონაც მონაწილეობდა, რომელთაგან საუკეთესო აღმოჩნდა ეკატერინე კოსირაძე („მიცუბისი“). შემდეგ მოდიან სალომე აბულაძე („რენო“), ანა ოკრიბელაშვილი („ნივა“), თამარ ედიშერაშვილი („ოპელი“).






**გია ახალაძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორჩელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge